პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

კვირა, 10 მაისი 1936 წ.
№ 107 (4566)

დღეს ნომერში:

— პარტიული აპარატი („პრავდის" მოწინავე)
— ამხ. მ. ი. კალინინის საუბარი უცხოეთის მუშათა დელეგაციებთან
— საქართველომ ბამბის თესვის გეგმა შეასრულა
— შ. ქინქლაძე, ვ. ბურჯანაძე — მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა (ფელეტონი)
— პროფ. სარგის კაკაბაძე — ისტორიული ფრონტის შესახებ (ფელეტონი)
— მზადება საფრანგეთის კაბინეტის შედგენისათვის
— ფაშისტების წინააღმდეგ გამოსვლები გერმანიაში
— გერმანიის ფინანსიური მდგომარეობა კატასტროფიულია
— საყოველთაო გაფიცვა საბერძნეთში
— მცირე ანტანტის ქვეყნების კონფერენციის კომუნიკე.

ბიბლიოთეკა

პარტიული აპარატი

„პრავდის" მოწინავე 9/V

ბოლშევიკური პარტიის აპარატი ყოველთვის იყო ორგანიზებულობისა და დისციპლინის განსახიერება, ყოველთვის იყო დაკავშირებული მასებთან, თანმიმდევრობით ატარებდა რევოლუციურ ხაზს. პარტიულ აპარატში ბოლშევიკები ყოველთვის თავს უყრიდნენ თავისი კადრების საუკეთესო შემადგენლობას. პარტიის მშენებელნი — ლენინი და სტალინი უდიდესი მზრუნველობითა და სიყვარულით აზრდიდნენ პარტიული კადრების შერჩევას, გამოწრთობას და ამით ქმნიდნენ რევოლუციონერთა მებრძოლ ორგანიზაციას, შეიარაღებულს მკაფიო პროგრამით, რკინის ტაქტიკით, ერთიანი ნებისყოფით.

პარტიის მენშევიკური რეფორმისტული გაგება მიმართული იყო იქითკენ, რომ, „დაემდაბლებინა პარტიულობის იდეები, მოესპო პარტიული კადრები, დაეტოვებინა პროლეტარიატი უთავისპარტიოდ და მუშათა კლასი საჯიჯგნად ხელში ჩაეგდო ლიბერალებისათვის". (სტალინი). ოპორტუნისტებთან ბრძოლაში პარტია ამაგრებდა თავისი რიგების ერთიანობას, აკაჟებდა პარტიულ კადრებს, ამდიდრებდა მათს იდეურ - ორგანიზაციულ გამოცდილებას, სრულყოფდა თავის პარტიულ აპარატს.

ხოლო მთელს ფრონტზე გაშლილი სოციალისტური შეტევის მომზადებისა და გატარების პერიოდში, ზინოვიევურ-ტროცკისტულ ჯგუფთან ბრძოლაში იმ ჯგუფთან, რომელიც კონტრრევოლუციის წუმპეში გადაეშვა, მემარჯვენე გადახრასთან, კულაკურ აგენტურასთან ბრძოლაში პარტიის კადრებმა და მისმა აპარატმა ახალი სტალინური გამოწრთობა მიიღეს.

სტალინური სტილი მუშაობაში— ეს ის დაუცხრომელი ცხოველმყოფელი ძალაა, რომელიც აზრს გვიღვიძებს, ენერგიას აღგვინთებს, წინ გვწევს. ეს არის ფართო პერსპექტივა და მგზნებარე საქმიანობა, რომლისთვისაც არ არსებობს ზღუდეები, ბოლომდე მიჰყავს დაწყებული საქმე. სტალინურად მუშაობა ნიშნავს — შეათავსო მაღალი პრინციპულობა საქმის დეტალებში ჩაწვდომასთან, მზრუნველობით მოეპყრა კადრებს, გულისხმიერად ისმინო ძირეულ მუშაკთა ხმა.

პარტიულ დოკუმენტთა შემოწმება იყო პარტიული აპარატის მაღალ თვისებათა ყველაზე მჭევრმეტყველური საბუთი. მისი მუშაობის, დიდი და დაძაბული მუშაობის მეოხებით გამოაშკარავებულ იქნენ ყველა გაქნილი და ნიღაბაფარებული მტრები, რომლებიც შეიპარნენ პარტიაში და აქა-იქ ძირეულ პარტიულ ორგანოებში. გაიწმინდა რა უცხო ელემენტებისაგან, პარტიული მუშაობისათვის უვარგისი ადამიანებისაგან, პარტიული აპარატი განმტკიცდა ახალი მზარდი კადრების ქვემოდან მოზიდვის გზით. პარტიული ხელმძღვანელები უკეთ გაეცნენ პირველადი ორგანიზაციების შემადგენლობას, მეტი ყურადღებით ეკიდებიან პარტიული მუშაობის ტექნიკას.

მაგრამ პარტიულ აპარატში ჯერ კიდევ ცოტა როდია ნაკლოვანებანი, რომლებიც მოწმობენ ორგანიზაციული მუშაობის ჩამორჩენას პარტიის პოლიტიკური ამოცანებისაგან.

როცა საჭიროა რაიმე დაკვრითი მუშაობის ჩატარება, ამას პარტიულ აპარატში, როგორც წესი, წარმატებით უძლევებიან. საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს პარტიულ დოკუმენტთა შემოწმება. მაგრამ ყველა პარტიულ ორგანოს როდი აქვს უნარი ყოველდღიურად შეუპოვარი ორგანიზატორული მუშაობით განახორციელოს პარტიის გადაწყვეტილებანი. ფაქტები გვეუბნებიან, რომ ბევრი პარტიული მუშაკი პარტიის მე-17 ყრილობის შემდეგ დასჯერდა ახალი წესდების ალილუიურ მოწონებას, საქმით კი პარტიული მუშაობის ყოველდღიურ პრაქტიკაში წესდებას არ იცავდნენ და ხშირად არღვევდნენ. ამავე დროს კი, პარტიის ურყევი კანონის — წესდების დაცვით შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა ბევრი ნაკლი პარტიულ მუშაობაში. პარტიის წესდებისადმი არასაკმაო ყურადღება მოწმობს ორგანიზაციული მუშაობის სისუსტეს. ორგანიზაციული მუშაობა განსაკუთრებით სუსტია პარტაპარატის იმ რგოლებში, რომლებიც მოწოდებული არიან გასწიონ პარტიული პროპაგანდა და აგიტაცია.

პარტიულ დოკუმენტთა შემოწმებამ გამოააშკარავა მეორე ფრიად მნიშვნელოვანი ნაკლიც პარტიულ აპარატში — სუსტი დისციპლინა და მოდუნება მუშაკთა ერთ ნაწილში. პარტიის, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს ერთადერთი ხელმძღვანელი ძალის მნიშვნელობა ზოგიერთმა პარტმუშაკმა თავისებურად გაიგო. ჩვენთვის ყველაფერი ნებადართულია, პარტაპარატი — ეს ყველაფერიაო. აქედან — აბუჩად ამგდები დამოკიდებულება საბჭოთა კანონისადმი, აქედან — ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა უგულებელყოფა. ამ ორგანიზაციულ თავაშვებულობას მოჰყვა ტექნიკის დავიწყება, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლა კლასობრივმა მტერმა, რომელიც მოტყუებით დაეუფლა პარტიულ ბილეთს თავისი მავნებლური დამარღვეველი მუშაობისათვის.

ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პლენუმის ცნობილ გადაწყვეტილებაში მოცემული იყო პარტიული მუშაობის ნაკლოვანებათა გამშლელი კრიტიკა და ახლებურად მუშაობის პროგრამა. მაგრამ დღემდეც არსებობს მრავალი ნაკლი, რომლებიც ამ დოკუმენტშია აღნიშნული.

გადაწყვეტილებაში, მაგალითად, ნათქვამი იყო, რომ პარტიული მუშაობის საკითხები მთელ რიგ ორგანიზაციებში მეორე რიგზე დასწიეს, რომ პარტიული ორგანოები ხშირად ეწევიან სამეურნეო და საბჭოთა ორგანოების მაგივრობას. მიუხედავად ამისა, ეს ნაკლი ბევრ ორგანიზაციაში კვლავ არსებობს. ხშირად არა ჩანს ზღვარი პარტიულ და სამეურნეო აპარატს შორის.

მაგალითად, ოლქკომის სასოფლო სამეურნეო განყოფილება მეორე სამიწათმოქმედო განყოფილებად ხდება, ხოლო ოლქკომის სამრეწველო - სატრანსპორტო განყოფილება — მეორე მთავარ სამმართველოდ. იმის ნაცვლად, რომ აიძულონ სამეურნეო და საბჭოთა აპარატი ჯეროვნად იმუშაონ, პარტიული კომიტეტები ნაკლები წინააღმდეგობის ხაზით მიდიან: ისინი მათს მაგივრობას ეწევიან და, ბუნებრივია, ივიწყებენ თავის პირდაპირ ამოცანებს პარტიული მუშაობის დარგში.

ჯერ კიდევ დიდია პარტიული კადრების დენადობა ბევრ რაიონში, ყველგან გულმოდგინედ და ყურადღებით როდი ხდება ადამიანთა შერჩევა და აღზრდა. მუშაკების ხშირი მოხსნა, უწინარეს ყოვლისა, მოწმობს ამ მოხსნის ინიციატორთა ხასიათის სიმტკიცეს კი არა, არამედ, პირიქით, უუნარობას დროზე დაეხმარონ მუშაკებს, წინასწარ თავიდან აიცილონ შეცდომები საქმიანი რჩევით, ახსნა-განმარტებით.

პარტიული აპარატის სრულყოფა პარტიის მუდმივი ამოცანაა. ლენინი მოითხოვდა, რათა პარტიულ აპარატში ზუსტად სცოდნოდათ, „ვინ, სად და რომელ ვიოლინოს უკრავს. ვინ და სად რა ინსტრუმენტს სწავლობდა და სწავლობს, ვინ, სად და რატომ აყალბებს ბგერას (როცა მუსიკა ყურსა სჭრის) და ვინ, როგორ და სად უნდა იქნას გადაყვანილი დისონანსის გამოსასწორებლად და სხვ".

პარტიის ინტერესები მოითხოვენ, რათა მისი აპარატი სრულყოფილი ინსტრუმენტი იყოს, რათა იგი შეუფერხებლად მოქმედებდეს. ყოველი ადგილობრივი პარტიული კომიტეტის მუშაობის დონე უნდა შეეფერებოდეს დღევანდელი დღის პოლიტიკურ ამოცანებს. ფართო პოლიტიკური ჰორიზონტი, იდეურობა და პრინციპულობა, დღევანდელი დღის ურთულეს ამოცანებში გარკვევის უნარი, პარტიული მუშაობის „ტექნიკის" ცოდნა — ასეთი უნდა იყოს პარტიული მუშაკი.

როცა სტახანოველთა პირველი საკავშირო თათბირის ტრიბუნიდან შახტის „ცენტრალნაია — ირმინოს" პარტორგი ამხ. პეტროვი საჭრელი მანქანების მუშაობაზე ლაპარაკობდა, ამხანაგმა სტალინმა უთხრა: „თქვენ პარტიული კაცი ხართ და ყველაფერი უნდა გაინტერესებდეთ". ეს პატარა ფრაზა უდიდეს აზრს შეიცავს. აქ ნათქვამია, თუ როგორი უნდა იყოს კომუნისტი და, უწინარეს ყოვლისა, პარტიული მუშაკი.

შეუძლია თუ არა პარტიულ მუშაკს, ვთქვათ, გაამართლოს თავისი უმოქმედობა სტახანოვური მოძრაობის ხელმძღვანელობაში იმით, რომ იგი პარტიულ დოკუმენტთა გაცვლით არის გართული? რა თქმა უნდა, არა.

შეუძლია თუ არა პარტიულ ხელმძღვანელს არ იყოს დაინტერესებული მასების კულტურული მოთხოვნილებებით? რა თქმა უნდა, არა. პარტიულ ხელმძღვანელს უნდა აინტერესებდეს თეატრი, ხალხური შემოქმედება, მუსიკა, ლიტერატურა, პოეზია.

შეუძლია თუ არა პარტიულ ხელმძღვანელს დაივიწყოს, რომ ჩვენ მივდივართ საბჭოთა დემოკრატიზმის ფართო განვითარებისაკენ? რა თქმა უნდა, არა. აქედან მან თავისთვის დასკვნა უნდა გამოიყვანოს: გააძლიეროს პარტიული მასების აქტივობა შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი განვითარების ბაზაზე და გადაჭრით ებრძოლოს მის დამრღვევლებს.

შეუძლია თუ არა პარტიულ ხელმძღვანელს გვერდი აუაროს ჩვენს წმინდა მოვალეობას — განამტკიცოს სოციალისტური სამშობლოს თავდაცვა? ცხადია, არა. მან მასებში უნდა აღზარდოს საბჭოთა პატრიოტიზმი, სამშობლოს სიყვარული, ვაჟკაცობა, მამაცობა.

„ყველაფერი უნდა გაინტერესებდეთ" — ასე ამბობს ამხანაგი სტალინი. ყველგან ავანგარდში იყოთ, ყველგან წინამძღოლი იყოთ — ასეთია სტალინური კანონი ყველა კომუნისტისათვის და მით უფრო პარტიული მუშაკებისათვის.

საქართველომ ბამბის თესვის გეგმა შეასრულა

7 მაისისათვის საქართველომ ბამბის თესვის გეგმა მთლიანად შეასრულა. დათესილია 5000 ჰექტარი.

თესვის ხარისხი ყველა რაიონში დამაკმაყოფილებელია. იმ კოლმეურნეობების, ბრიგადებისა და ჯგუფების ნაკვეთებზე, რომლებმაც სტახანოვურ მოძრაობასთან დაკავშირებით იკისრეს სარეკორდო მოსავლის მიღება, ბამბის თესვის ხარისხი საუკეთესოა.

კოლმეურნეობებმა, ბრიგადებმა და ჯგუფებმა, რომლებიც სოცშეჯიბრებაში იყვნენ ჩაბმული, ბამბის თესვის გეგმა 3 მაისისათვის შეასრულეს (ვადაზე 2 დღით ადრე).

საქართველოს
[illegible]

მზადება საფრანგეთის კაბინეტის შედგენისათვის

(ტელეფონით „პრავდის" პარიზელი კორესპონდენტისაგან).

პარიზი, 8 მაისი. სახალხო ფრონტის პარტიები და ორგანიზაციები მუშაობენ მომავალი მთავრობის პოლიტიკისა და შემადგენლობის საკითხზე. 10 მაისს გაიმართება საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ნაციონალური საბჭოს სესია, 11 მაისისათვის მოწვეულია შრომის საერთო კონფედერაციის საბჭოს სესია.

კომპარტია წინადადებას იძლევა 12 მაისისათვის პარიზში მოწვეულ იქნეს სახალხო ფრონტის ყველა დეპუტატის თათბირი. 15 მაისს გაიმართება რადიკალ - სოციალისტური პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის სესია. დაბოლოს, კომუნისტური და სოციალისტური პარტიების საკოორდინაციო კომიტეტმა დაადგინა: 24 მაისის ტრადიციული დემონსტრაცია კომუნარების კედელთან გადააქციოს სახალხო ფრონტის დიდ დემონსტრაციად, რომ აღინიშნოს პარიზის კომუნის მებრძოლთა ხსოვნა. აგრეთვე სახალხო ფრონტის გამარჯვება არჩევნებში.

არჩევნების შემდეგ გასულ რამდენიმე დღის განმავლობაში კულისებში მომქმედი რეაქციონერები ცდილობენ პანიკა შექმნან ბირჟაზე. გუშინ პრემიერ-მინისტრი სარო კვლავ ეთათბირა ფინანსთა მინისტრ რეინიეს და საფრანგეთის ბანკის დირექტორს ტანერის. როგორც იუწყებიან, მთავრობის წარმომადგენლები გადამწყვეტ ზომებით დაემუქრნენ ბირჟის პანიკის შემქმნელებს, მაგრამ ამ მუქარას არავითარი გავლენა არ მოუხდენია. დღეს ბირჟაზე პანიკური განწყობილება კიდევ უფრო გაძლიერდა. დაეცა სახელმწიფო რენტა. დაეცა ყველა ბანკის, მათ შორის საფრანგეთის ბანკის აქციები 600 ფრანკით (ერთი დღის განმავლობაში). დაეცა აგრეთვე ყველა სამრეწველო აქცია, გარდა სუეცის არხის საზოგადოების აქციებისა. დოლარისა და სტერლინგის კურსმა აიწია ფრანკთან შედარებით.

1 მაისისათვის საფრანგეთის ბანკის ოქროს მარაგი შემცირდა 1.168.600 ათასი ფრანკით და შეადგენს 60.768 მილიონ ფრანკს. ოქროთი უზრუნველყოფის პროცენტია—64,75 (დაცემულია გასულ კვირასთან შედარებით 1,62 პროცენტით). საგრძნობლად დაეცა მიმდინარე ანგარიშების თანხები: 1 მაისისათვის ეს თანხები შეადგენდა 6.869 მილიონ ფრანკს (გასულ კვირასთან შედარებით 1.025 მილიონით და გასულ წელთან შედარებით 9-ზე მეტი მილიარდი ფრანკით ნაკლებს).

მემარცხენე პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ფინანსთა მინისტრი არ ღებულობს საკმაო ენერგიულ ზომებს სპეკულაციის ასალაგმავად. „ერ ნუველი" სწერს: „შეუძლებელია იმის დაშვება, რომ სპეკულანტებმა მემარცხენეების გამარჯვება თავის გამარჯვებად გადააქციონ". „ლუმანიტე" გადამწყვეტ ზომებს მოითხოვს ფრანკისა და სახელმწიფო კრედიტის დასაცავად.

დღეს საროს თათბირი ექნება ბლუმთან ფინანსურ საკითხებზე.

ბ. მიხაილოვი.

◇ ◇ ◇

კამათი თემთა პალატაში საგარეო პოლიტიკის შესახებ

ლონდონი, 6 მაისი. დღის ნაშუადღევს თემთა პალატაში დაიწყო კამათი საგარეო პოლიტიკის საკითხზე. კამათი გაიხსნა ლეიბორისტ დალტონის სიტყვით. დალტონმა გააკრიტიკა ინგლისის მთავრობის საგარეო პოლიტიკა იტალია-აბისინიის კონფლიქტში და განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობას ეკისრება პასუხისმგებლობა იტალია-აბისინიის ომის დაწყებისა და აბისინიის დამარცხებისათვის. დალტონმა მოითხოვა სანქციების გაძლიერება იტალიის წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ გავრცელდეს ისინი ნავთზე. შეეხო რა გერმანიის შეიარაღების განუწყვეტელ და სწრაფ ზრდაზე, დალტონმა განაცხადა, რომ არის ჩეხოსლოვაკიისა და ავსტრიის წინააღმდეგ აგრესიის საფრთხე.

დალტონმა ლეიბორისტული ფრაქციის სახელით სთხოვა იდენს გააცნოს თემთა პალატას გერმანიის მთავრობისათვის მიცემული კითხვების შინაარსი.

იმის ნიშნად, რომ ფრაქცია არ იწონებს მთავრობის საგარეო პოლიტიკას, დალტონმა შეიტანა წინადადება შემცირდეს საგარეო საქმეთა სამინისტროს გასავლის ხარჯთაღრიცხვა.

უპასუხა რა დალტონს, საგარეო საქმეთა მინისტრმა იდენმა თავის სიტყვაში განაცხადა:

„მდგომარეობა, რომელიც ანგარიშში უნდა გაუწიოს ინგლისსა და ერთა ლიგის წევრთა რიგებში მყოფ თვითეულ ქვეყანას, [illegible] სიძნელეებით და იმედის გაცრუებით. შექმნილ მდგომარეობას რომ თავი გავართვათ, ჩვენ ანგარიშში უნდა გავუწიოთ ფაქტებს. სანქციების სისუსტე იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი დაუყოვნებლივ ვერ გახდნენ ეფექტიური ერთა ლიგაში. სინამდვილეში იყო მხოლოდ ერთი სანქცია, რომელიც შეიძლებოდა დაუყოვნებლივ გამხდარიყო ეფექტიური და ასეთი სანქცია იქნებოდა სუეცის არხის დახურვა იტალიისათვის. ამ სანქციის აუცილებლად უნდა გამოეწვია სამხედრო ღონისძიებანი. პალატამ ანგარიშში უნდა გაუწიოს ამ მდგომარეობას".

მიმართა რა შემდეგ ლეიბორისტულ ოპოზიციას, იდენმა განაგრძო:

„თუ თქვენ გინდათ მიმართოთ სამხედრო ღონისძიებებს, მე უნდა გაგაფრთხილოთ, რომ შეუძლებელია არხის დახურვა ქაღალდის გეგმებით. თუ მთავრობის დაჟინებით არ მოუთხოვნია სამხედრო სანქციები, ეს იმიტომ, რომ იგი ზიზღით ეკიდება ომს და არა იმიტომ, რომ საეჭვოდ მიაჩნია მისი შედეგი". იდენმა მიუთითა სუეცის არხის შესახებ დადებული კონვენციის პირველ მუხლზე და აღნიშნა, რომ ამ მუხლში გარკვევით არის ნათქვამი, რომ არხი მუდამ ღია უნდა იყოს როგორც ომიანობის დროს, ისე მშვიდობიანობის დროსაც. სწორედ ამიტომ,—განაცხადა იდენმა,—არხი შეიძლებოდა დახურულიყო მხოლოდ ერთა ლიგის მოქმედებით.

შემდეგ იდენმა მიმართა ოპოზიციას კითხვით: ფიქრობს თუ არა იგი, რომ ერთა ლიგას ნამდვილად შეეძლო ერთსულოვნად მიეღო რეზოლუცია სუეცის არხის დახურვის შესახებ? ამის იმედი,—განაგრძობს იდენი,—არასოდეს არ უნდა გვქონოდა. და ხელისუფლების სათავეში რომ ლეიბორისტული პარტია ყოფილიყო, იგი არ აწარმოებდა ახლანდელი მთავრობის პოლიტიკისაგან ბევრად განსხვავებულ პოლიტიკას. შეეხო რა დალტონის წინადადებებს, რომ მე-11 მუხლის საფუძველზე საჭირო იყო ზომების მიღება სამხედრო მოქმედების თავიდან ასაცილებლად, იდენმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, ასეთ წინადადებას საკმაოდ არ დაეთანხმებოდნენ მაშინ. საჭიროა ანგარიშში გავუწიოთ ფაქტებს,—განაგრძობს იდენი,—აღვიაროთ ჩვენი მარცხი და ჩვენი იმედის გაცრუება. მაგრამ, თუ წარმატება კოლექტიური იქნებოდა, მაშინ მარცხიც კოლექტიური უნდა იყოს. უეჭველია, რომ ლაპარაკი ხდება კოლექტიური უშიშროების სტრუქტურასა და კონცეპციის. ჩვენ ანგარიშში უნდა გავუწიოთ ამ ფაქტებს და არ შევეუშინდეთ იმ გაკვეთილის, რომელიც ამ გამოცდილებიდან უნდა მივიღოთ. მას შემდეგ, რაც გამოირკვევა ჩვენი კურსი მოვლენათა თვალსაზრისით, ჩვენ უნდა ვუთხრათ მთელ მსოფლიოს, თუ რას გავაკეთებთ და რას არ გავაკეთებთ. [illegible] არა არსებობს რა იმაზე უფრო საშიში, ვიდრე არარეალობაზე დამყარებული საგარეო პოლიტიკა.

ცხადია, სთქვა შემდეგ იდენმა, რომ ერთა ლიგამ უნდა განაგრძოს თავისი მოღვაწეობა. ჯერჯერობით ჩვენ,—განაგრძობს იდენი,—მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ერთა ლიგამ თავიდან ვერ აიცილა ომის დაწყება და ვერ შეაჩერა ომი, როცა იგი დაიწყო.

შეეხო რა ინგლისის პოზიციას ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე, რომელიც 11 მაისს გაიხსნება, იდენმა განაცხადა, რომ ახლანდელ პირობებში მიზანშეწონილია ითხოვოს პალატას ერთგვარი ფორმით ნდობა გამოუცხადოს მთავრობის წარმომადგენლებს. ის ნაბიჯები, რომელთა გადადგმაც აუცილებელია, კოლექტიური უნდა იყოს და მათში ჩვენ ვითამაშებთ ჩვენს როლს. უპასუხა რა დალტონის რეპლიკას, იდენმა განუცხადა პალატას, რომ მთავრობა წინანდებურად აწარმოებს თავის პოლიტიკას ერთა ლიგის წესდების საფუძველზე. (ტას).

○ ○ ○

მცირე ანტანტის ქვეყნების კონფერენციის კომუნიკე

ვენა, 8 მაისი. ბელგრადიდან იუწყებიან, რომ გუშინ აქ დამთავრდა მცირე ანტანტის კონფერენციის სხდომა. კონფერენციის დამთავრების შემდეგ თავმჯდომარემ სამხრეთ - სლავიის პრემიერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა სტოიადინოვიჩმა პრესის წარმომადგენლებს გადასცა ცნობა, რომელშიც მოყვანილია მცირე ანტანტის ქვეყნების თვალსაზრისი ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობისა და [illegible] უმნიშვნელოვანესი საკითხების შესახებ.

ცნობაში ხაზგასმულია, რომ მცირე ანტანტის ქვეყნების მთავრობები მხარს უჭერენ დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოების ყველა ღონისძიებას, მიმართულს ავსტრიის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისაკენ. ამიტომაც ისინი გადაჭრით წინააღმდეგნი არიან არსებულ ხელშეკრულებათა რაიმე რევიზიისა ისევე, როგორც ჰაბსბურგთა დინასტიის რესტავრაციისა, ვინაიდან ამას შეიძლება მოჰყვეს არასასურველი და მეტისმეტად მწვავე კონფლიქტი დუნაის ბასეინში. თავის პოლიტიკას მცირე ანტანტის ქვეყნებს განზრახული აქვთ აწარმოონ „მთელი ენერგიით და ყველა აუცილებელი საშუალებების გამოყენებით, თვით უკიდურეს საშუალებებამდე".

კომუნიკე შემდეგ ხაზს უსვამს მცირე ანტანტის ერთიანობას ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ყველა საკითხის შესახებ და მათს ურთიერთ მჭიდრო კავშირს. შემდეგ ცნობაში ნათქვამია:

„ჩვენ მიერ წამოყენებული ჩვენი პოლიტიკის პრინციპები საფრანგეთისა, ინგლისისა, გერმანიისა, უნგრეთისა, ბულგარეთისა, ავსტრიისა, პოლონეთისა მიმართ, აგრეთვე ბალკანეთის ანტანტისა და საბჭოთა კავშირის მიმართ, უცვლელი რჩება".

ხაზს უსვამს რა, რომ მომავალშიც დიდი ადგილი ეჭირება მცირე ანტანტის ქვეყნების ერთა ლიგისა და კოლექტიური უშიშროების პრინციპისადმი, აგრეთვე იმას, რომ იგი მზად არის აქტიურად შეუწყოს ხელი ამ პრინციპის პრაქტიკულად განხორციელებას, ცნობა აცხადებს, მცირე ანტანტის ქვეყნები „მომავალში ისე, როგორც წარსულშიც განზრახული აქვთ თავის პოლიტიკას საჭირო მოქმედი ძალა მიანიჭონ აგრეთვე სხვა საშუალებათა დახმარებითაც".

შეეხო რა გერმანიის მიერ ლოკარნოს ხელშეკრულების დარღვევას, კონფერენციამ გამოთქვა სურვილი, რათა ამასთან დაკავშირებით დადებულ იქნას მოსამზადებელი მოლაპარაკება ლოკარნოს ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებს შორის კოლექტიური უშიშროების საკითხზე.

შემდეგ ცნობაში ხაზგასმულია მცირე ანტანტის ქვეყნების სასიცოცხლო დაინტერესება იმით, რომ აუცილებლად დაცულ იქნას ის ხელშეკრულებები, რომლებიც ხელმოწერილია სენ-ჟერმენში, ტრიანონსა და ნეიში, შემდეგ ნათქვამია: „ჩვენ მოქმედების სრულ თავისუფლებას ვიტოვებთ მომავალი ღონისძიებისათვის და დაჟინებით მოვითხოვთ, რათა ჩვენ მიერ ხელმოწერილი არც ერთი ხელშეკრულება არ იქნას შეცვლილი ჩვენივე წინასწარი თანხმობის მიუღებლად". (ტას)

ფაშისტების წინააღმდეგ გამოსვლები გერმანიაში

ვარშავა, 8 მაისი. „ნაშ პშეგლონდი" იუწყება, რომ ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაში, ფრიდრიხსკოოგში, ღამით გლეხებმა ჩალეწეს ჰიტლერის ორგანიზაციის ადგილობრივი ხელმძღვანელის ბინის მინები და სცემეს ამ ხელმძღვანელს.

ოლდერსდორფში მოიჯარეები თავს დაესხნენ თავიანთ ყოფილ ხელმძღვანელს.

მალდორფში იმ სახლების კედლებზე, რომლებშიაც მოიჯარენი ცხოვრობენ, დააწერეს ფაშისტების საწინააღმდეგო ლოზუნგები.

იცეგოეში (შლეზვიგ-ჰოლშტეინია) საჭირო გახდა პოლიციის გამოწვევა, რათა გასაწვევ უბნებში მიეყვანათ ახალგაზრდა გლეხები.

შემდეგ გაზეთი იუწყება, რომ ალტონში რკინიგზების დირექციამ წინადადება მისცა ყველა თავის მოსამსახურეს—ყური დაუგდონ მგზავრთა ლაპარაკს და დაიჭირონ ყველა ოპოზიციურად განწყობილი პირი. რკინიგზელებმა ამაზე უარი განაცხადეს და დირექცია იძულებული გახდა მიემართნა საიდუმლო პოლიციის სპეციალურ აგენტებისათვის.

საბჭოთა კავშირში

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებული საბჭოს შემადგენლობა

მოსკოვი, 9 მაისი. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებული საბჭოს შემადგენლობა. საბჭოში შედის 107 კაცი, მათ შორის—საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი ამხ. ა. პ. როზენგოლცი (საბჭოს თავმჯდომარე), სახალხო კომისრის მოადგილენი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილენი): სუდინი, ლოგანოვსკი, ელიავა, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი იტალიაში ბელენკი, სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი მონღოლეთში ბირკენგოფი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ფინლანდიაში ბრისკინი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი საფრანგეთში დვოლაიცკი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი გერმანიაში კანდელაკი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი იაპონიაში კოჩეტოვი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ჩეხოსლოვაკიაში [illegible], სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ინგლისში ოზერსკი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი თურქეთში ოსიპოვი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი პოლონეთში ტამარინი.

გარდა ამისა, საბჭოს შემადგენლობაში შედიან საგარეო ვაჭრობის სახკომის რწმუნებულნი რ.ს.ფ.ს რესპუბლიკაში, უკრაინის სს რესპუბლიკაში, ამიერ-კავკასიაში, აზერბეიჯანში, გორკის მხარეში, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სამმართველოების მთელი რიგი უფროსები და სხვ. (ტას).

ლენინგრადის ოლქში კარამიშევსკის მტს-ის სამოქმედო ტერიტორიაზე წელს პირველად დასდგამენ მიმღებ-გადამცემ რადიო სადგურებს ბრიგადების ერთმანეთთან დასაკავშირებლად მინდვრის სამუშაოების დროს. **სურათზე:** კავშირგაბმულობის რაიგანყოფილების უფროსი ამხ. კოლცოვი უხსნის ბრიგადირებს რადიოსადგურის მუშაობის პრინციპებს.

ფოტო ლარიანოვისა (სოიუზფოტო).

სამანქანო-საგზაო სადგურები რკინიგზებზე

მოსკოვი, 9 მაისი. გზათა სახალხო კომისრის ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის ბრძანებით ტრანსპორტზე ეწყობა 50 მოძრავი სამანქანო-საგზაო სადგური. ამ სადგურებმა, რომლებიც მომარაგებული იქნებიან სრულყოფილი მანქანებით და აგრეგატებით, ნამდვილი რევოლუცია უნდა მოახდინონ საგზაო მეურნეობაში და სამანქანო ტექნიკა და ინდუსტრიული კულტურა შეიტანონ საგზაო საქმეში. თვითეული მოძრავი სამანქანო-საგზაო სადგური შესდგება მთელი რიგი სპეციალური ვაგონ-სახელოსნოებისაგან. სამანქანო-საგზაო სადგურის შემადგენლობაში სულ 67 ვაგონი შედის.

უკვე წელს სამანქანო-საგზაო სადგურებმა უნდა მოახდინონ 10 ათასი კილომეტრი გზის საშუალო რემონტი, 3 ათასი კილომეტრის კაპიტალური რემონტი და გზის რეკონსტრუქცია 3 ათას კილომეტრზე.

ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩმა დაათვალიერა პირველი სამანქანო-საგზაო სადგური, რომელიც მოსკოვ-კურსკის გზამ მოაწყო და რომელიც სამუშაოდ უნდა გაიგზავნოს აღმოსავლეთ ციმბირის გზაზე. (ტას)

ამხ. მ. ი. კალინინის საუბარი

უცხოეთის მუშათა დელეგაციებთან

მოსკოვი, 9 მაისი. 8 მაისს საკავშირო პროფსაბჭოს პროფკავშირთა დარბაზში გაიმართა ამხ. მ. ი. კალინინის საუბარი ამჟამად მოსკოვში მყოფ უცხოეთის მუშათა დელეგაციებთან. საუბარში მონაწილეობა მიიღეს საკავშირო პროფსაბჭოს მდივნებმა ამხ. შვერნიკმა, ვეინბერგმა, აბოლინმა, პროფინტერნის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლოზოვსკიმ და ინგლისის ორთქლმავლის მემანქანეთა და ცეცხლფარეშთა კავშირის გენერალურმა მდივანმა ამხ. ბრომლეიმ.

პროფკავშირთა დარბაზში შეკრებილი 200-დე უცხოელი დელეგატი მხურვალედ შეხვდა ამხ. მ. ი. კალინინს.

მიხეილ ივანეს-ძე მიესალმა უცხოელ მუშათა წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ მუშათა დელეგაციების ყოველწლიურად ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობის მკაფიო დემონსტრაციაა.

სამი საათის განმავლობაში მიხეილ ივანეს-ძე პასუხს აძლევდა ათეულ კითხვებზე, რომლებიც მას დელეგატებმა მისცეს. ეს კითხვები შეეხებოდა ახალ საბჭოთა კონსტიტუციას, საბჭოთა დემოკრატიას, მდგომარეობას შორეულ აღმოსავლეთში, საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებას საერთაშორისო პოლიტიკის აქტუალური საკითხებისადმი, წითელ არმიას და სხვ. მიხეილ ივანეს-ძის ნათელი და პირდაპირი პასუხი ხშირად დამსწრეთა ტაშს იწვევდა.

შემდეგ გამოვიდნენ უცხოეთის მუშათა დელეგაციების საფრანგეთის, ინგლისის, ესპანეთის, ამერიკის, ჩეხოსლოვაკიის, ავსტრალიის, სკანდინავიის, მექსიკის დელეგაციების წარმომადგენლები და ჩილის მუშათა წარმომადგენელი.

ისინი ამხ. მ. ი. კალინინის სახით მიესალმნენ საბჭოთა კავშირის მშრომელებს და მხურვალე მადლობა გამოსთქვეს იმ ძმური, გულთბილი მიღებისათვის, რომელსაც უცხოეთის მუშათა დელეგაციები საბჭოთა კავშირში შეხვდნენ.

თავის გამოსვლებში უცხოეთის მუშათა დელეგატები აღნიშნავდნენ, რომ ერთადერთი ქვეყანა, რომელიც გულწრფელად იბრძვის მშვიდობიანობისათვის ხალხთა შორის, არის საბჭოთა კავშირი. ამიტომ საბჭოთა კავშირის დაცვა — თვითეული უცხოელი პროლეტარის ღვიძლი საქმეა.

შემდეგ ისინი აღნიშნავდნენ საბჭოთა კავშირის უდიდეს მიღწევებს. საბჭოთა კავშირმა რევოლუციის 19 წლის განმავლობაში უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე კაპიტალისტურმა ქვეყნებმა ასეული წლების მანძილზე.

დელეგატები თავის აღტაცებას გამოსთქვამდნენ წითელი არმიის ძლიერი, კულტურული და ყველა მშრომელისათვის მშობლიური არმიის გამო. ისინი აღნიშნავდნენ, რომ პირველი მაისის დემონსტრაციაზე ჩვენ განსაკუთრებით განგვაცვიფრა ბედნიერმა და მხიარულმა ათეულმა ათასმა ბავშვმა, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ პირველი მაისის დღესასწაულში მოზრდილებთან ერთად.

— ის, რაც ახლა კეთდება საბჭოთა კავშირში, — ამბობდნენ დელეგატები, — მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის საქმეა. და ჩვენ დავიცავთ მას ყოველგვარი თავდასხმისაგან, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს ის. თუ საჭიროება მოითხოვს, ჩვენ ყოველგვარ დახმარებას გავუწევთ საბჭოთა კავშირის მშრომელებს.

დელეგატებმა სთხოვეს ამხ. კალინინს მხურვალე სალამი გადასცეს ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს, საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს და საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელს.

შვეციის დელეგატმა ამხ. კალინინს გადასცა წერილობითი ადრესი, რომელსაც ხელს აწერს 7 ათასი მუშა—საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოების წევრები.

გამოეთხოვა რა უცხოეთის მუშათა დელეგაციებს, მიხეილ ივანეს-ძემ სთხოვა მათ სალამი გადასცენ უცხოეთის მუშებს რომლებმაც დელეგაციები გამოგზავნეს საბჭოთა კავშირში. ამის პასუხად უცხოეთის მუშათა დელეგატებმა შესძახეს სამგზის „ვაშა" და „როტ ფრონტ" საბჭოთა პრეზიდენტის პატივსაცემად და მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით გააცილეს მიხეილ ივანეს-ძე. (ტას)

◇ ◇ ◇

შეკითხვები იაპონიის პარლამენტში

ტოკიო, 7 მაისი. გუშინ პარლამენტის ორივე პალატაში, კაბინეტის წევრთა სიტყვების შემდეგ, დაიწყო დეპუტატთა შეკითხვები. ზედა პალატაში პალატის ყველაზე დიდი დაჯგუფების „კოსეიკაის" წარმომადგენელმა სონოდამ მიიტანა შეკითხვა—წინანდებურად იცავს თუ არა ხიროტა თავის განცხადებას, რომ „სანამ იგი საგარეო საქმეთა მინისტრი იქნება, ომი არ მოხდება".

ხიროტამ, დომეი ცუსინის სააგენტოს სიტყვით, განაცხადა, რომ, მისი აზრით, რომელიმე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი არასოდეს ოდნავადაც არ უნდა ფიქრობდეს ომის შესაძლებლობაზე და იგი წინანდებურად იცავს ამ შეხედულებას, ამასთან იმედი აქვს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი, სამხედრო და საზღვაო მინისტრები საგარეო პოლიტიკის საკითხებს მიუდგებიან იმ ჭრილით, რომ იხელმძღვანელებენ ამ პრინციპით.

ქვედა პალატაში ცენტრალურ შეკითხვებს წარმოადგენდნენ შეკითხვები თებერვლის ამბების შესახებ და იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია სასწრაფოდ გაუქმდეს სამხედრო წესები, რაც, მინსეიტოს და სეიუკაის პარტიების წარმომადგენელთა სიტყვით, უმაგალითოდ ზღუდავს სიტყვის თავისუფლებას. უპასუხა რა ამ შეკითხვებზე, სამხედრო მინისტრმა ტერაუციმ განაცხადა, რომ თებერვლის ამბებს უფრო დაწვრილებით გააშუქებს პალატის დახურულ სხდომაზე. რაც შეეხება სამხედრო წესების გაუქმების ვადას, ტერაუციმ სთქვა, რომ ჯერჯერობით არავინ იცის, თუ როდის შეიძლება მათი გაუქმება.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ დიდი აღშფოთება გამოიწვია შინაგან საქმეთა მინისტრის უსიოს მტკიცებამ, რომელმაც სიტყვის თავისუფლების შესახებ მიცემულ შეკითხვებზე განაცხადა, რომ იგი არის სიტყვის თავისუფლების მომხრე და რომ ასეთი უკვე არსებობს.

აღშფოთება პალატაში, — სწერენ გაზეთები, — მხოლოდ მას შემდეგ დაცხრა, როცა უსიომ აღიარა, რომ არსებობს „სიტყვის თავისუფლების ერთგვარი შეზღუდვა, რაც გამოწვეულია არალეგალურ დოკუმენტთა გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობითაო".

ქვედა პალატის დახურულ სხდომაზე ტერაუციმ უპასუხა თებერვლის ამბების გამო მიცემულ შეკითხვებზე.

დომეი ცუსინის სააგენტო, „ასახი" და სხვა გაზეთები აღნიშნავენ, რომ ტერაუცის, სხვათა შორის, მისცეს შემდეგი შეკითხვები: ვინ აფინანსებდა ინციდენტს? ხომ არ არის ჩარეული თებერვლის ამბებში ქვედა პალატის ზოგიერთი წევრი? რაში მდგომარეობდა კომუნისტთა ფარული მოღვაწეობა ამბების დროს? (შეკითხვა მისცა სიაკაის ტაისიუტოს პარტიის წარმომადგენელმა) და სხვა.

ტერაუცის პასუხი არ არის გამოქვეყნებული.

ამასთან ერთად გაზეთები აღნიშნავენ, რომ მთავრობამ გადასწყვიტა—რამდენადაც ტერაუციმ, თუმცა ვერ შესძლო გაეცა პასუხი ყველა შეკითხვაზე, მაინც დაწვრილებით გააცნო ქვედა პალატას თებერვლის ამბები, ამიერიდან არ იქნას დაშვებული შეკითხვების შეტანა თებერვლის ამბების შესახებ, რათა უზრუნველყოფილ იქნას სესიის მუშაობის საქმიანი მსვლელობა.

ტოკიო, 7 მაისი. დღეს შესდგა პარლამენტის ზედა პალატის დახურული სხდომა, მიძღვნილი ტოკიოს თებერვლის ამბების გამო შეტანილი შეკითხვებისადმი. დომეი ცუსინის სააგენტოს გადმოცემით, სამხედრო მინისტრმა ტერაუციმ უარი სთქვა ეცნობებინა პალატისათვის, თუ როდის გაასამართლებენ თებერვლის ამბების მონაწილე ოფიცრებს (ტას).

◇ ◇ ◇

უკანასკნელი ცნობები

იტალიის ჯარები შევიდნენ ხარარში.

რომი, 9 მაისი. როგორც სტეფანის სააგენტო გადმოგვცემს, გენერალ გრაციანის ჯარებმა დაიკავეს ხარარი. იტალიის ჯარების კოლონები გაემართნენ დირედაუასაკენ (ტას)

○

ნეგუსი ჩავიდა იერუსალიმში.

ლონდონი, 9 მაისი. გუშინ აბისინიის ნეგუსი ჩავიდა იერუსალიმში.

○

საყოველთაო გაფიცვა საბერძნეთში.

ათინა, 9 მაისი. მიუხედავად საგანგებო პოლიციური ღონისძიებებისა, საბერძნეთის თამბაქოს მრეწველობის მუშებისა და მთელი რიგი ქალაქების მშრომელთა გაფიცვა შეუნელებელი აღმავლობით გრძელდება. გუშინ სალონიკში გაიმართა გაფიცულთა მრავალათასიანი დემონსტრაცია, რომელზეც იერიში მიიტანეს პოლიციამ და ცხენოსანმა ჟანდარმერიამ. პრესის ცნობით, დემონსტრანტები აგებდნენ ბარიკადებს და მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ. მრავალი ჟანდარმი განიარაღებულ იქნა. პოლიციის დასახმარებლად გამოწვეულმა ჯარისკაცებმა უარი განაცხადეს თავს დასხმოდნენ დემონსტრანტებს. მეთამბაქოეთა დემონსტრაციას შეუერთდა რამდენიმე ათასი გაფიცული ფეიქარი. სალონიკში შეტაკების დროს დაჭრილთა საერთო რიცხვი აღწევს 300 კაცს. მაკედონიისა და ფრაკიის რკინიგზელებმა, აგრეთვე სალონიკის ტრამვაელებმა გამოაცხადეს გაფიცულებთან სოლიდარობის ერთდღიანი გაფიცვა. საბერძნეთის მთავრობამ სასწრაფო სხდომაზე მიიღო ორი საგანგებო დეკრეტი საბერძნეთის ყველა რკინიგზის მუშა-მოსამსახურეებისა და სალონიკის ტრამვაელების დაუყოვნებლივი მობილიზაციის შესახებ. პრემიერმა მეტაქსასმა განაცხადა, მაკედონიაში არმიის კორპუსთა მეთაურებს მითითება მიეცათ საგანგებო ზომების მიღების შესახებ „წესრიგის დასაცავად" (ტას).

○

გერმანიის ფინანსური მდგომარეობა კატასტროფულია

ნიუ-იორკი, 7 მაისი. საგაზეთო ტრესტ „სკრიპს ჰოვარდის" საგარეო პოლიტიკის განყოფილების რედაქტორი სიმსი ბერლინიდან იწერება ფინანსური კრიზისი გერმანიაში, რომელიც არაჩვეულებრივი სისწრაფით ძლიერდება, იქნება, მალე აფეთქებას გამოიწვევს. ბანკირთა სწერს სიმსი, გერმანია შეეცდება თავი დააღწიოს ამ აფეთქებას სამხედრო ავანტიურით აღმოსავლეთში. გერმანიის მასებმა არ იციან ქვეყნის ამ საშინელი ეკონომიური მდგომარეობის ამბავი (ტას)

პარტდოკუმენტთა გამოცვლის დროს კომუნისტებთან საუბრის შესახებ

8/V-ის „პრავდის“ სარედაქციო სტატია

პარტიული ბილეთების გამოცვლის დროს რაიკომებს ხელმეორედ გაივლის ყველა კომუნისტი (პირველად მათ დოკუმენტთა შემოწმების დროს გაიარეს). საკმაო რაოდენობით მოიპოვებიან ისეთი რიგითი კომუნისტები, რომლებიც შემოწმების დროს პირველად იყვნენ რაიკომში, პირველად ხედავენ მის მდივანს. რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელთან მისვლისას კომუნისტს შეუძლია დაწვრილებით მოელაპარაკოს მას თავისი მუშაობის შესახებ, თავის მოთხოვნილებათა შესახებ, ილაპარაკოს იმ დეფექტებზე, რომლებიც პირველად ორგანიზაციას აქვს. რაიკომში კომუნისტს შეუძლია მიიღოს ავტორიტეტული რჩევა-დარიგებაც და დახმარებაც. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა დიდი პოლიტიკური აღმზრდელობითი მნიშვნელობა ენიჭება კომუნისტთა მასობრივ მისვლას რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან.

მეორე მხრით, რაიკომის მდივნის მიერ თვითეული კომუნისტის უშუალოდ გაცნობამ ხელი უნდა შეუწყოს შინაპარტიული მუშაობის საგრძნობლად გაუმჯობესებას რაიონში. ადამიანების ასეთი გაცნობის შედეგი უნდა იყოს ორგანიზაციის განმტკიცება, კომუნისტთა უკეთ გამოყენება, ახალი კადრების დაწინაურება, შინაპარტიული ცხოვრებისა და თვითკრიტიკის გამოცოცხლება.

ადამიანთან მოფიქრებული საუბარი მუდამ წარმოადგენდა ნამდვილი ცოცხალი ხელმძღვანელობის ფორმას. პარტიულ დოკუმენტთა გამოცვლის საუკეთესო გამოცდილება მოწმობს, რომ ბევრი რაიკომი კომუნისტებთან ჩატარებული საუბრების შემდეგ სამუშაოზე აწინაურებს ახალ კადრებს, დახმარებას უწევს ცალკეულ ამხანაგებს კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ხსნის იმ მიზეზებს, რომლებიც ხელს უშლიან კომუნისტთა ზრდას.

ამავე დროს ცოცხალი საუბარი ხელს უწყობს პარტიისათვის უცხო ადამიანების, მტრების გამომჟღავნებას.

მაგრამ კომუნისტისათვის ამხანაგური დახმარების გაწევაც, კლასობრივი მტრის გამოაშკარავებაც შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც სერიოზულად, მოფიქრებულად მუშაობენ. ფორმალური, ზერელე საუბარი — ეს არის თვალის ახვევაც და ხშირად ადამიანის პირდაპირი დაცინვაც. ამურნიჟნედნეპროვსკის რაიკომში (დნეპროპეტროვსკის ოლქი) ბიუროს ერთერთი წევრი თითქმის ყველა კომუნისტს ერთსა და იმავე კითხვას აძლევს:

— იცნობ თუ არა წესდების პირველ პუნქტს?

— წაგიკითხავს თუ არა „გატეხილი ყამირი“?

არიან რაიკომების მდივნები, რომლებიც თავიანთ საუბრებს პოლიტიკურ გამოცდად აქცევენ. ხოლო, სამწუხაროდ, მოიპოვებიან ისეთი მუშაკებიც, რომლებიც ახერხებენ ცოცხალი პარტიული საქმის კანცელარშჩინად გადაქცევას. ასეთი კანცელარშჩინის ერთერთ სახეს წარმოადგენს სპეციალური „კითხვარების“ შედგენა საუბრების ჩასატარებლად. კუიბიშევის მხარის ერთერთი რაიკომის მდივანმა შეადგინა 30-კითხვიანი „შპარგალკა“. რაიკომის ეს მდივანი ყოველ კომუნისტს ერთსა და იმავე კითხვებს აძლევდა, იგი ივიწყებდა, რომ მას საქმე აქვს ცოცხალ ადამიანებთან, ივიწყებდა, რომ სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვა პოლიტიკური მომზადება, სხვადასხვა კულტურული დონე აქვს.

ხშირად ისეც ხდება, რომ რაიკომების მდივნები კმაყოფილდებიან საუბრის სარეგისტრაციო ბლანკის გრაფების მიხედვით, ამასთან არ ეხებიან იმ საკითხების რაობას, რომლებსაც თვით კომუნისტები აყენებენ რაიკომების წინაშე. ასეთი ხელმძღვანელები ჰკარგავენ იმის შესაძლებლობას, რომ დამატებით გამოარკვიონ პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის მდგომარეობა.

„პრავდის“ მიერ მიღებული წერილები მოწმობენ, რომ რაიკომების ზოგიერთი მდივანი საუბარს დაუსრულებელ შთაგონებად აქცევს. მუსაიფის ზოგიერთი მოყვარული იმდენად გატაცებულია საკუთარი მჭერმეტყველებით, რომ სიტყვის თქმის საშუალებას არ აძლევს ბილეთის გამოსაცვლელად მოსულ კომუნისტს. ხოლო პარტიულ ხელმძღვანელს უნდა შესწევდეს უნარი არა მარტო თვითონ ილაპარაკოს, არამედ აგრეთვე ყურადღებით მოუსმინოს იმას, ვისაც იგი ხელმძღვანელობას უწევს. პარტიულმა ხელმძღვანელმა კომუნისტთან საუბრის საშუალებით უნდა გაიგოს, თუ რითი ცოცხლობს და სუნთქავს ძირეული ორგანიზაცია და გამოიყვანოს პრაქტიკული დასკვნები.

საუბარი — თვითმიზანი არ არის. პარტიულ დოკუმენტთა გამოცვლამ უნდა გამოიწვიოს შინაპარტიული ცხოვრების გამოცოცხლება, ორგანიზაციის შემჭიდროება, მისი ბრძოლისუნარიანობის გაძლიერება. მას შემდეგ, რაც რაიკომის მდივანი ესაუბრება კომუნისტს, გაიგებს იმ დეფექტებს, რომლებითაც პირველადი ორგანიზაცია არის დაავადებული, გაიგებს თვით კომუნისტის საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს. იგი ვალდებულია ოპერატიულად უპასუხოს პარტიულ ორგანიზაციასაც და ამ კომუნისტსაც, წინააღმდეგ შემთხვევაში საუბარი უნაყოფო იქნება.

უკანასკნელი შენიშვნაც. სწორი არ არის პარტიულ დოკუმენტთა გადაქცევა დაუსრულებელ ლაპარაკად. ღრმა, შინაარსიანი საუბარი საჭიროა ისეთ შემთხვევებში, როცა რაიკომის მდივანი ნაკლებად იცნობს ადამიანს, როცა ამა თუ იმ მოსაზრებებით საჭიროა შეისწავლოს პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდგომარეობა, დაეხმაროს ცალკეულ კომუნისტს. შეუწყნარებელია, როცა რაიკომების მდივნები ხშირად სრულიად უსარგებლო ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკით აჭიანურებენ გამოცვლას. პარტიულ დოკუმენტთა გამოცვლა უნდა სწარმოებდეს გარკვეულად, ორგანიზებულად, დიდი სიფხიზლით.

პარტიული დოკუმენტების გამოცვლა

ბოლშევიკური ორგანიზებულობით

(ლენინის რაიონი)

8 მაისის საამურ დილას — ტფილისის 26 კომუნარის სახელობის მანქანათმშენებლობის ქარხნის შვიდი ბოლშევიკი — ამხ. ჯინორიძე, კლანი, სიტნიკოვი, იაზლოვსკი, ზაკომოლდინი, ჭოხონელიძე და სარქისიანი — ყველანი უდიდესი სიხარულით აღსავსენი დროულად გამოცხადდნენ საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომში.

დასახელებული ამხანაგები გამოძახებული ჰყავდა პარტრაიკომის მდივანს პარტიული დოკუმენტების გამოსაცვლელად. სწორედ ეს იყო აღნიშნული ამხანაგების უსაზღვრო სიხარულის მიზეზი.

პარტდოკუმენტების გამოცვლა ლენინის რაიონში 8 მაისს დაიწყო. ამ დღეს რაიკომში არაჩვეულებრივი წესრიგია. ყველას მიჩენილი აქვს თავისი საქმე პარტდოკუმენტების გამოცვლის უდიდესი წესრიგით ჩატარების უზრუნველსაყოფად.

რაიკომში მოწყობილია კომუნისტთა სარეგისტრაციო ოთახი. გამოძახებული ამხანაგები პარტკაბინეტში ჟურნალ-გაზეთებსა და სხვადასხვა ლიტერატურას კითხულობენ, იქვე იმართება კონსულტაცია გაუგებარ საკითხებზე. კონსულტაციას ატარებს პარტდოკუმენტების გამოცვლასთან დაკავშირებით რაიკომის მიერ სპეციალურად გამოყოფილი ამხანაგი.

დღის 12 საათზე ლენინის პარტრაიკომის მდივანს ამხ. გ. თვალჭრელიძეს სპეციალურად იზოლირებული ოთახიდან პირადად გამოაქვს პარტიული დოკუმენტები განსაზღვრულ რაოდენობით და იწყებს გამოცვლას. აქვე ესწრებიან საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელ პარტორგანოთა განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. მ. კვარაცხავა და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ხელმძღვანელ პარტორგანოთა განყოფილების გამგე ამხ. გ. დოლიძე.

პირველად გამოიძახეს გიორგი ჯინორიძე, 26 კომუნარის მანქანათმშენებლობის ქარხნის პარტკომის მდივანი.

ამხ. თვალჭრელიძემ ამხ. ჯინორიძესთან ამხანაგური ხასიათის საქმიანი საუბარი გამართა. უმთავრესად ყურადღება გაამახვილეს იმ საკითხზე, რომლებიც პარტდოკუმენტების შემოწმებისას პარტორგანიზაციის მუშაობაში სუსტ უბანს წარმოადგენდნენ.

ამხ. ჯინორიძე მოფიქრებულად და დინჯად ესაუბრება ხელმძღვანელ ამხანაგებს კომუნისტების შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის, მათი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების, სტახანოვური მოძრაობის გაშლის, ტექნიკურ წრეებში მეცადინეობის შესახებ და მოჰყავს დამახასიათებელი მაგალითები ცალკეულ კომუნისტთა დასაქმებით.

ამხ. ჯინორიძის საუბრიდან ნათლად გამოირკვევა, რომ 26 კომ. სახ. ქარხნის პარტორგანიზაციის მუშაობა ნამდვილად დგას ბოლშევიკური მოწოდების სიმაღლეზე. ამხ. ჯინორიძემ საქმით დაიმსახურა კომუნისტის მაღალი სახელწოდება, პარტორგანიზაციის ნდობა და სიყვარული.

ამხ. თვალჭრელიძე გულდასმით სინჯავს დოკუმენტების შევსების სისწორეს, ერთმანეთს ადარებს სარეგისტრაციო ფურცელს, პარტბილეთს, პირადსა და საღრიცხვო ბარათს. ბოლოს მან ხელი მოაწერა ყველა საბუთზე, ჩააბარა პარტბილეთი ჯინორიძეს, მაგრად ჩამოართვა ხელი და უთხრა: გისურვებ შემდგომ ბრწყინვალე წარმატებებს და პარტიისადმი ერთგულებას.

ჯინორიძეს სცვლის იმავე ქარხნის ექსპერიმენტალური სამქროს ოსტატი ამხ. კარლ კლანი. ამხ. კლანი ლაპარაკობს, თუ როგორ მიაღწია მან გარდატეხას პარტდოკუმენტების შემოწმების შემდეგ პოლიტიკური დონის ამაღლებისა და ტექნიკის დაუფლების საქმეში, საწარმოო ბაზით და სხვ.

— ამჟამად რა პარტიული დავალება გაქვთ და როგორ ასრულებთ? ეკითხება ამხ. თვალჭრელიძე.

— მიმაგრებული ვარ ქარხნის კომკავშირის ორგანიზაციაზე, აგრეთვე ვასრულებ პარტკომის მიმდინარე დავალებებს, — განაცხადა ამხ. კლანმა.

ამხ. კლანი ქარხნის მოწინავე ადამიანია, მოწინავეა ის სამქროც, სადაც იგი მუშაობს.

ამხ. კლანს მიეცა ახალი ნიმუშის პარტბილეთი და ამხ. თვალჭრელიძემ მიუთითა მას — კიდევ უფრო მეტად იბრძოლოს პოლიტიკური და ტექნიკური დონის ამაღლებისათვის.

ამავე დღეს პარტდოკუმენტები გამოუცვალეს ამხ. სიტნიკოვს და ჭოხონელიძეს.

გრ. ხურცილავა

◇ ◇ ◇

შევისწავლოთ კომკავშირის ყრილობის გადაწყვეტილებანი

ბათომი, 9 მაისი. ბათომის საწარმოებსა და დაწესებულებებში მიმდინარეობს კომკავშირის X ყრილობის მასალების წაკითხვა და ახსნა-განმარტება. ეს ყველგან იწვევს კომკავშირელთა და მთელი ახალგაზრდობის აქტივობის გაძლიერებას და ახალ ვალდებულებათა აღებას. აეროკლუბთან მოეწყო საფრენოსნო სკოლა, რომელშიც 50 კომკავშირელი მეცადინეობს. სკოლას სათავეში ჩაუდგა საქ. ა.-ლ. კ. ყრილობის დელეგატი, პირველი აჭარელი მფრინავი ქალი ამხ. ფატიმა გოგიტიძე. ნავსადგურში მოეწყო წრე საერთო განათლების დონის ასამაღლებლად, სადაც 15 კაცი მეცადინეობს, 2 სამხედრო წრე, რომლებშიაც ჩაბმულია 50 კაცი; მოეწყო აგრეთვე ერთი სამხედრო წრე პიონერთათვის. ბათომის ნავთისგადამამუშავებელ ქარხანაში 20 კომკავშირელმა ამ დღეებში ჩააბარა ვოროშილოველ მსროლელთა ნორმა. კავშირგარეთ მყოფი ახალგაზრდობა ყრილობის გადაწყვეტილებებს უპასუხებს განცხადებებით კომკავშირში შესვლის შესახებ. განცხადებები კომკავშირში მიღების შესახებ შეიტანეს ბათომის ნავთისგადამამუშავებელი ქარხნის 10 დამკვრელმა, ნავსადგურის 23-მა, სამკერვალო ფაბრიკის 15-მა დამკვრელმა და სხვ. (ადს).

ტფილისის თამბაქოს ქარხნის კომუნისტები პარტორგ ამხ. თუმანიანის ხელმძღვანელობით მეცადინეობენ საკ. კ. პ. (ბ) წესდების შესასწავლად.

ფოტო რ. აკოფოვის.

პირველი დღეები

(კიროვის რაიონი)

— მაშ ასე ამხანაგებო! მოსამზადებელი მუშაობა დავამთავრეთ, ვიწყებთ პარტიული დოკუმენტების გამოცვლას, რომელიც უნდა ჩავატაროთ უდიდესი სერიოზულობით და სიფრთხილით, — განაცხადა საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის მდივანმა ამხ. ს. იმხანოვმა. გარდა იმისა, რომ დოკუმენტები ზედმიწევნით ზუსტად და ამავე დროს სუფთად უნდა იქნეს შევსებული, საჭიროა მუშაობის რაციონალიზაცია, მოქნილობა. საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ დოკუმენტთა გამოცვლისათვის მოსულ ამხანაგებს რაიკომის კარზე დიდხანს არ უხდებოდეთ ლოდინი.

რეგისტრატორებთან საუბრის შემდეგ დაიწყო პრაქტიკული მუშაობა. პარტიული დოკუმენტების გამოსაცვლელად პირველ დღეს ორი ორგანიზაცია გამოიძახეს: საქ. კ.პ.(ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის კურსებისა და ა.-კ. კომუნისტური უმაღლესი სას.-სამ. სკოლის კომუნისტები. პირველთან უშუალოდ რაიკომის მდივანი ამხ. იმხანოვი მუშაობს, მეორისთან კი მისი დამხმარე, რაიკომის ბიუროს წევრი ამხ. კ. კუცია.

დამხმარე ამხანაგი შავად შედგენილ სარეგისტრაციო ბლანკს ადარებს შემოწმების აქტთან. გულმოდგინედ ათვალიერებს ძველ საღრიცხვო ბარათს, ესაუბრება ბლანკის შემვსებ კომუნისტს და, თუ საჭიროა, შეაქვს შესწორებები. ამის შემდეგ რეგისტრატორი სუფთად გადასწერს მას. დამხმარე ამხანაგს ამგვარად დამზადებული რამდენიმე ბლანკი მიაქვს რაიკომის მდივანთან. რაიკომის მდივანი წაიკითხავს, რეზოლუციას დაადებს და სათითაოდ გზავნის რეგისტრატორთან ბლანკის საფუძველზე საღრიცხვო ბარათისა და პარტბილეთის შესავსებად. შევსებული ბარათი და პარტბილეთი მოაქვთ რაიკომის მდივანთან. ამრიგად, დამხმარე ამხანაგი მოსამზადებელ მუშაობას ეწევა, რაიკომის მდივანი კი იმ ამხანაგებთან, რომლებიც მასთან არიან გამოძახებულნი, თვითონ ასრულებს ამ მუშაობას. შრომის ამგვარმა განაწილებამ სასურველი შედეგი გამოიღო. მიუხედავად სირთულისა, პირველ დღეს ექვს კომუნისტზე შეივსო ახალი ფორმის პარტიული დოკუმენტები. არცერთი არ გაფუჭებულა.

დოკუმენტების გამოსაცვლელად მოსულ ამხანაგებს არ უხდებათ ცდა. ეს ერთი მხრივ იმით არის გამოწვეული, რომ რაიკომი სარეგისტრაციო ბლანკებს დღისით ავსებს და პარტიულ ბილეთებს საღამოთი არიგებს; მეორე მხრივ კი იმით, რომ კომუნისტები სხვადასხვა დროისათვის არიან გამოძახებულნი.

რაიკომმა პარტიული დოკუმენტების გამოცვლისათვის ხელსაყრელი პირობები შექმნა. კაბინეტში მხოლოდ გამოძახებულ ამხანაგებს შეეძლო შესვლა. გარეშე პირთა მისვლა შესწყდა.

რეგისტრატორზე ბევრად არის დამოკიდებული სარეგისტრაციო ბლანკის სწორად შევსება. რაიკომმა ამ საკითხს თავიდანვე მიაქცია ყურადღება. შეარჩია კვალიფიციური რეგისტრატორები: ამხ. ს. იოანოვი, ბ. აკიმენკო, მ. იობაშვილი, ქ. ბეგიჯანოვი და სხვ. მათ ლამაზი ხელით, უშეცდომოდ შეავსეს დოკუმენტები. საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის მდივანმა ამხ. ვ. ბაქრაძემ და ტფილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. გრ. არუთინოვმა შეამოწმეს და მოიწონეს რეგისტრატორების ნამუშევარი.

პარტიულ დოკუმენტთა გამოცვლის პირველი დღის გამოცდილების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ რაიკომი მომზადებული შეხვდა პარტიულ დოკუმენტების გამოცვლას. დაუყოვნებლივ გამოსწორდა ის უმნიშვნელო შეცდომები, რომელიც პირველი რეგისტრაციის ბარათის შევსების დროს იყო დაშვებული. რეგისტრატორების დახელოვნება და ინტენსიობის თანდათანობით ზრდა პირველდღესვე თვალსაჩინო გახდა. მაგალითად: პირველი სარეგისტრაციო ბლანკის შევსებას რეგისტრატორი ბ. აკიმენკო 1 საათსა და 40 წუთს მოუნდა, მეორე ბლანკი 1 საათში შეავსო, მესამე კი 50 წუთში მზად იყო.

აქვე უნდა აღინიშნოს რაიკომის მდივნის ამხ. იმხანოვის ფხიზელი და დაკვირვებული მიდგომა კომუნისტებისადმი.

— აბა, ამხ. კონსტანტინე, მითხარი რა პარტიული დავალებები გაქვს და როგორ ასრულებ, — შეეკითხა ამხ. იმხანოვი პირველად შემოსულ ამხ. კ. ხინჩაგოვს. ხინჩაგოვი შეკრთა. გაუბედავად დაიწყო პასუხის გაცემა, ნერვიულობდა. ამხ. იმხანოვმა შეამჩნია ხინჩაგოვს აღელვება, მივიდა მასთან, გვერდით მოუჯდა და ამხანაგური კილოთი დაიწყო საუბარი: ხინჩაგოვი გათამამდა, რაიკომის მდივნის გულთბილმა დამოკიდებულებამ გაბედულად აალაპარაკა. ამხ. ხინჩაგოვი რომ გაისტუმრა, ამხ. იმხანოვმა სთქვა:

— მრავალნაირია ადამიანი: ზოგი მორცხვია, ზოგი ხათრიანი, ზოგი თამამი, გაბედული და სხვ. თვითეულ მათგანს განსაკუთრებული მიდგომა უნდა, თორემ არადიფერენცირებული მიდგომით ზოგჯერ შესაძლებელია პარტიისათვის თავდადებული კომუნისტი პირველ შეხვედრისას უუნაროდ და ბალასტად მოგეჩვენოს.

ამხ. კუციამაც ნაყოფიერი მუშაობა გასწია. პარტიული დოკუმენტები მან კარაპეტ დურგარიანს, ივ. საროკინსა და ნიკოლოზ ხიდიშელს შეუვსო (ა.-კ. უმაღლესი კომ. სას.-სამ. სკოლა).

საღრიცხვო ბარათების შევსება 7 მაისს დღის 3 საათზე დასრულდა. საღამოს 9 საათზე რაიკომის მდივანმა ახალი ნიმუშის 6 პარტიული ბილეთი გასცა — ამხ. ხინჩაგოვზე, ა. ალიევზე, ივ. ზაგრებინზე, ქ. დურგარიანზე, ივ. საროკინზე და ნ. ხიდიშელზე.

მეორე დღეს, 8 მაისს, რაიკომის მდივანმა 4 პარტიული ბილეთი გასცა.

— სარქის გაბაიან! მოდით! მოაწერეთ ხელი და მიიღეთ ახალი პარტიული ბილეთი. აბა შენ იცი, როგორ გაამართლებ პარტიის ნდობას!

ამხ. გაბაიანს სიხარულით სახე გაუბრწყინდა, მიიღო მანდატი და მხიარულად გამობრუნდა.

ამავე დღეს ბილეთები მიიღეს აგრეთვე ამხ. არ. ბედოიანმა, ისრანაევმა და გ. აიაზოვმა.

შ. ტაბატაძე

შ. ქინქლაძე **ვ. ბურჯანაძე**

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა

ამხანაგმა სტალინმა თავის ისტორიულ საუბარში ამერიკის საგაზეთო გაერთიანების „სკრიპს-ჰოვარდ-ნიუს-პეიპერსის“ თავმჯდომარე ბ-ნ როი ჰოვარდთან ა.-წ. 1-ლ მარტს გადაჭრით და მკაფიოდ განაცხადა: „იმ შემთხვევაში, თუ იაპონია გაბედავს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაზე თავდასხმას და დაემუქრება მის დამოუკიდებლობას, ჩვენ მოგვიხდება დავეხმაროთ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას...

ჩვენ ისევე დავეხმარებით მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას, როგორც დავეხმარეთ მას 1921 წელს“. (იხ. სტალინი: „საუბარი როი ჰოვარდთან“ გვ. 5,6).

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა წარმოიშვა ოქტომბრის დიდი რევოლუციის უშუალო ზეგავლენით და საბჭოთა პროლეტარიატის დახმარებით, მონღოლეთის მშრომელთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი გმირული რევოლუციური ბრძოლის გამარჯვების შედეგად, როგორც ახალი ტიპის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, ანტიფეოდალური, ანტი-იმპერიალისტური სახალხო რევოლუციური რესპუბლიკა.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა მდებარეობს ცენტრალური აზიის ჩრდილოეთ ნაწილში, ე. წ. გარე-მონღოლეთში. ჩრდილო-დასავლეთით მას ესაზღვრება საბჭოთა კავშირი და ტანა-ტუვის სახალხო რესპუბლიკა, აღმოსავლეთით — იაპონიის მიერ დაპყრობილი ჩინეთის ნაწილები (მანჯოუ-გო და ჩახარის პროვინცია). სამხრეთით და სამხრეთ დასავლეთით — ჩინეთი (შიდა მონღოლეთი და სინძიანის პროვინცია). მ. ს. რ. ტერიტორია უდრის დაახ. 1500 ათას კვ. კლმ. (რაც უდრის გერმანიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის და იტალიის ტერიტორიას ერთად აღებულს). მოსახლეობა უდრის მილიონ ნახევარ სულს. მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა მონღოლებია. მცხოვრებთა 85 პროც. შეადგენს ღარიბ და საშუალო მესაქონლე გლეხობას (არატები).

ორი საუკუნის განმავლობაში გარე-მონღოლეთი წარმოადგენდა ჩინეთის მიერ დაპყრობილ ქვეყანას. მონღოლეთის მშრომელი მასები — მესაქონლე არატები განიცდიდნენ მრავალმხრივ ექსპლოატაციას: ერთის მხრივ მათ ყვლეფდნენ ადგილობრივი ფეოდალები (თავადები) და საეკლესიო ფეოდალები (ხუტუხტები), მეორე მხრივ ჩინელი მანდარინები და მოხელეები უამრავი გადასახადებით და ბეგარით აძრობდნენ ტყავს, მესამე მხრივ ჩინელი და რუსი ვაჭრები და მევახშეები სწოვდნენ სისხლს. საუკეთესო საძოვრები და ჯოგები ფეოდალებისა და მონასტრების ხელში იყო. არატთა მასები უამრავ გადასახადებს აძლევდნენ საერო და საეკლესიო ფეოდალებს და იმყოფებოდნენ მევახშეთა მუდმივ კაბალურ ვალებში.

1911 წ. ჩინეთის რევოლუციის და მონღოლთა მასების ნაც-განმათავისუფლებელი მოძრაობის გავლენით გარე-მონღოლეთის თავადებმა გამოაცხადეს გარე-მონღოლეთის დამოუკიდებლობა და ბუდისტური ეკლესიის მეთაური მონღოლეთში ჩებძუნ-დამბა ხუტუხტა აღიარებულ იქნა ბოგდო-ხანად (დიდ ხანად). ამ დროიდან ძლიერდება რუსეთის იმპერიალიზმის გავლენა მონღოლეთში. 1915 წლის 15 მაისს ქ. კიახტაში მონღოლეთ-ჩინეთისა და რუსეთს შორის დადებული შეთანხმებით ჩინეთმა იცნო გარე-მონღოლეთის დამოუკიდებლობა. ამის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა რუსეთის იმპერიალიზმის პრივილეგიები მონღოლეთში და იგი გადაიქცა რუსი ვაჭრების ძარცვის ობიექტად.

1917 წლის ოქტომბრის პროლეტარულმა რევოლუციამ ხელი შეუწყო მონღოლეთის მშრომელთა განთავისუფლებას, როგორც რუსეთის იმპერიალისტების, ისე ჩინელი მილიტარისტების კლანჭებისაგან. 1919 წ. რ.ს.ფ.ს.რ-ის მთავრობამ გააუქმა მეფის ხელშეკრულებები მონღოლეთთან და სცნო გარე-მონღოლეთის დამოუკიდებლობა. ამ დროიდან იწყება იაპონიის იმპერიალისტების აგრესიული მისწრაფება მონღოლეთისადმი.

იაპონელი იმპერიალისტები ცდილობენ დაიპყრონ მთელი მონღოლეთი და თავის პროტექტორატის ქვეშ შექმნან ე. წ. პან-მონღოლური სახელმწიფო, როგორც კონტრრევოლუციური პლაცდარმი საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. 1919 წელს იაპონელი იმპერიალისტების წაქეზებით და მატერიალური დახმარებით ჩინელმა მილიტარისტებმა, ე. წ. ანფუისტებმა, მოაწყეს მონღოლეთში სპეციალური სამხედრო ექსპედიცია გენერალ სიუ-ში-ჩანის მეთაურობით და მოახდინეს გარე-მონღოლეთის ოკუპაცია. ერთი წლის განმავლობაში მონღოლეთის მოსახლეობას ჩაგრავდნენ ჩინელი მილიტარისტები. 1920 წ. ანფუისტებმა დაჰკარგეს ბატონობა როგორც ჩინეთში, ისე მონღოლეთში. იაპონელი იმპერიალისტები მონღოლეთის ოკუპაციისათვის იყენებენ რუს თეთრგვარდიელებს. 1920 წელს წითელი არმიის მიერ ზაბაიკალიეში სასტიკად დამარცხებული თეთრგვარდიელთა ბანდები ბარონ ფონ-უნგერნის მეთაურობით იხევენ უკან და იაპონიის დახმარებით ახდენენ გარე-მონღოლეთის ოკუპაციას. 1921 წელს ბარონ უნგერნის ბანდა ადგილობრივი ფეოდალურ-თეოკრატიული ელემენტების დახმარებით იპყრობს გარე-მონღოლეთის დედა-ქალაქს ურგას (ახლანდელი ულან-ბატორი). ამავე დროს მონღოლეთის დასავლეთ ნაწილში იჭრებიან წითლების მიერ განადგურებულ თეთრგვარდიელთა მეორე ჯგუფის ნაშთები. ამრიგად, მონღოლეთი ხდება თეთრგვარდიელთა ველური ბანდების სათარეშოდ და ძარცვა-გლეჯის ობიექტად. მაგრამ მონღოლეთის მშრომელებში ჩაღდება ნაც-განმათავისუფლებელი რევოლუციური ბრძოლის ძლიერი ცეცხლი. ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციასა და სამოქალაქო ომში წითელი არმიის გმირული გამარჯვებით გამხნევებული მონღოლეთის მშრომელი მასები აჯანყდნენ რუს თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ. იწყება მონღოლ ხალხთა ნამდვილი, მასობრივი ნაც-განმათავისუფლებელი რევოლუციური მოძრაობა. მოძრაობას სათავეში უდგება მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტია, რომელიც შეიქმნა 1920 წელს ასოთამწყობ სუხე-ბატორის მეთაურობით. არატების პარტიზანთა რაზმები სახალხო რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელობით შეუპოვარ ბრძოლას აჩაღებენ თეთრგვარდიელი ოკუპანტების წინააღმდეგ. 1921 წელს ალტანბულაკში შეიქმნა მონღოლეთის დროებითი რევოლუციური მთავრობა, რომელმაც დახმარებისათვის მიმართა საბჭოთა ხელისუფლებას. წითელი არმიის დახმარებით და მონღოლ პარტიზანების გმირული ბრძოლით 1921 წლის 6-7 ივლისს განადგურებულ იქნა ფონ-უნგერნის ბანდები და ქ. ურგა გაიწმინდა თეთრგვარდიელებისაგან. ამრიგად, მონღოლ არატების თავდადებული ბრძოლით და საბჭოთა კავშირის დახმარებით მონღოლეთმა სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა.

1924 წელს მონღოლეთის პირველმა დიდმა ხურალმა (სრულიად მონღოლეთის მშრომელთა ყრილობა) გარე-მონღოლეთი გამოაცხადა სახალხო რესპუბლიკად. დიდი ხურალის მიერ მიღებული კონსტიტუციით მთელი სახელმწიფო ძალაუფლება გადაეცა არატობას (მესაქონლე გლეხობას), ექსპლოატატორებს (თავადებს და სასულიერო პირებს — ლამებს). ჩამოერთვათ საარჩევნო უფლება. მიწა გამოცხადებულ იქნა საზოგადოებრივ საკუთრებად. გამოცხადებულ იქნა საგარეო ვაჭრობის მონოპოლია.

სახალხო რევოლუციის გამარჯვებამ მონღოლეთში მშრომელ არატებს ფართო გზა გაუხსნა ფეოდალიზმის ნაშთების დაძლევისა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დამთავრების გზით არაკაპიტალისტური განვითარების გზაზე გადასასვლელად.

მ.ს.რ-ის სახალხო მეურნეობის საფუძველს წარმოადგენს კერძო სამომთაბარო მესაქონლეობა. მიწათმოქმედებას დამხმარე მნიშვნელობა აქვს. ნაციონალური მეურნეობის აღორძინებაში მთავარ როლს თამაშობს ღარიბ და საშუალო არატობის მეურნეობის განვითარებისათვის ყოველმხრივ ხელისშეწყობა.

მ.ს.რ-ში მრეწველობის განვითარება მხოლოდ უკანასკნელ ხანებში დაიწყო. ულან-ბატორში (მ.ს.რ. დედაქალაქი) უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირის დახმარებით აშენდა სამრეწველო კომბინატი (ტყავის, ფეხსაცმელების და საფეიქრო ფაბრიკა). ამ კომბინატში მუშაობს 1300-დე მუშა. ხატხილში არის აგრეთვე მატყლის ორთქლით სარეცხი ქარხანა, სადაც მუშაობს 200-დე მუშა. ყველა აღნიშნული საწარმოები ეკუთვნის სახელმწიფოს. არსებობს აგრეთვე კუსტარული სარეწაო კოოპერაცია.

საგარეო ვაჭრობის მონოპოლია სახელმწიფოს ეკუთვნის. საშინაო ვაჭრობა კი კოოპერაციისა და კერძო ვაჭრების ხელშია. ნაციონალური კოოპერაციისა და კერძო ვაჭრობის მომწესრიგებელი როლი სახელმწიფოს ხელშია. საშინაო ვაჭრობის ხელმძღვანელობისათვის ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან არსებობს სახელმწიფო სავაჭრო საზოგადოება.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში მოიპოვება ქვანახშირი, რკინა, სპილენძი, ოქრო და სხვა მადნეული. როგორც აღვნიშნეთ, მეურნეობის საფუძველს წარმოადგენს ძირითადად კერძო მესაქონლეობა, მცირე რაოდენობით არსებობს მესაქონლეობის სახელმწიფო მეურნეობანი (Госхозы). მათი მიზანია საცდელი მუშაობით დახმარება გაუწიონ არატობას მესაქონლეობის გაუმჯობესების საქმეში.

1929 წლიდან 1932 წლამდე მე-6 დიდი ხურალის დადგენილების საფუძველზე ტარდებოდა შემცდარი „მემარცხენე“ პოლიტიკა. მე-6 დიდმა ხურალმა, გამოდიოდა რა იმ შემცდარი დებულებიდან, რომ მ.ს.რ. შევიდა განვითარების მე-3 სტადიაში — სოციალისტური მშენებლობის სტადიაში, მიიღო დადგენილება მასობრივი კოლექტივიზაციისა და საშინაო ვაჭრობის მონოპოლიის გასატარებლად.

1932 წელს მ.ს.რ. პარტიის III საგანგებო პლენუმმა და მცირე ხურალის მე-17 საგანგებო სესიამ დაჰგმო ყველა აღნიშნული „მემარცხენე“ შეცდომა, მიიღო მთელი რიგი დადგენილებანი დაშვებული შეცდომების აღმოსაფხვრელად და გაატარა პოლიტიკის ახალი, განვითარების არსებული ეტაპის შესაფერი კურსი.

მ.ს. რესპუბლიკის მმართველ პარტიას წარმოადგენს მ.რ.ს. პარტია. ეს არის მშრომელი არატობის პარტია, რომელიც წარმოიშვა მონღოლ არატობის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პროცესში 1920 წელს. პარტიის შემქმნელი და ბელადი იყო ასოთამწყობი სუხე-ბატორი (გარდ. 1923 წელს). პარტიის წევრთა რიცხვი ამჟამად უდრის 9000. მ.რ.ს. პარტია შედის კომინტერნში როგორც თანამგრძნობი პარტია სათათბირო ხმის უფლებით. ახალგაზრდა რევოლუციური არატობა გაერთიანებულია რევოლუციური ახალგაზრდობის კავშირში, რომელიც მუშაობს მ.რ.ს. პარტიის ხელმძღვანელობით. რევ. ახალგაზრდობის კავშირში ირიცხება 4000 წევრი.

მ.ს. რესპუბლიკის ჩასახვის დღიდანვე საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი მას უწევდა და უწევს მეგობრულ დახმარებას. ეს მეგობრული ურთიერთობა ს.ს.რ.კ. და მ.ს. რესპუბლიკას შორის და ის ძმური დახმარება, რომელსაც საბჭოთა კავშირი მ.ს.რ. მშრომელებს ნაციონალური საწარმოო ძალების აღორძინებისა და ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში უწევს, თანდათან იზრდება და მტკიცდება.

მ.ს. რესპუბლიკა აღმოსავლეთში ნაციონალურ-განმათავისუფლებელი რევოლუციური მოძრაობის განვითარების საქმეში დიდ ფაქტორს წარმოადგენს. ამიტომ არის, რომ იაპონელ იმპერიალისტებს მოსვენებას არ აძლევს მ.ს. რესპუბლიკის არსებობა. იაპონელმა იმპერიალისტებმა აგრესიული ზრახვების განხორციელების მიზნით თავისი აგენტურის საშუალებით მოაწყეს მონღოლეთში მთელი რიგი კონტრრევოლუციური შეთქმულებები და აჯანყებანი. ასეთი იყო, მაგალითად, მ.ს.რ. პრემიერ ბოდოს (დახვრეტილ იქნა 1924 წ.) მიერ მოწყობილი შეთქმულება ტიბეტელი ბერებისა საიი-ლამას მეთაურობით, ყოფ. სამხედრო მინისტრის დანზანის შეთქმულება 1924 წ. იაპონელი იმპერიალისტების უშუალო დახმარებით და დაკვეთით მოწყობილ იქნა კონტრრევოლუციური აჯანყებანი 1927 წელს, 37 თავადის შეთქმულება ეგუბერ-ხუტუხტას, მანზუშრის და სხვ. ხელმძღვანელობით. უკანასკნელ ხანებში აღმოჩენილ იქნა კონტრრევოლუციური შეთქმულება ლუბძანის მეთაურობით. ყველა ეს კონტრრევოლუციური შეთქმულებანი და აჯანყებანი, რომლებიც ეწყობოდა იაპონიის იმპერიალისტების დახმარებით და დაკვეთით და მიზნად ისახავდა მ.ს. რესპუბლიკის შიგნიდან აფეთქებას და მის გადაქცევას იაპონელი იმპერიალისტების სათარეშო ასპარეზად, განადგურებულია. 1935-36 წ.წ. განსაკუთრებით იზრდება იაპონელების აგრესია მონღოლეთის წინააღმდეგ. ეს არის ერთი მომენტთაგანი იმ „დიდი ომისა“, რომლის გაჩაღება სურთ შორეულ აღმოსავლეთში იაპონიის ყველაზე უფრო აგრესიულ, კონტრრევოლუციურ, რეაქციულ-ფაშისტურ წრეებს (გენ. არაკი, გენ. მაძაკი, გენ. კავასიმა და სხვ.). იაპონელი იმპერიალისტები თავიანთ აგრესიულ პროგრამას გამოხატავენ შემდეგი ლოზუნგებით: „აზია — აზიელებისათვის“, „პან-აზიატიზმი“, „იაპონიის წმიდა მისია აზიაში მშვიდობიანობის დასაცავად“ და სხვ.

ეს ლოზუნგები სხვა არაფერია, თუ არა იაპონელი იმპერიალისტების მისწრაფება მიაღწიონ განუყოფელ ბატონობას აზიის კონტინენტზე. ამ იმპერიალისტ მტაცებელთა თავიანთი ზრახვების განხორციელებისათვის ესაჭიროებათ „დიდი ომი“. იაპონელი იმპერიალისტების ეს მისწრაფებანი 1932 წელს იაპონიის ყოფ. პრემიერმა გენ. ტანაკამ შემდეგნაირად ჩამოაყალიბა თავის ცნობილ მემორანდუმში:

„მანჯურია და მონღოლეთი გარკვეული აზრით საკომანდო პუნქტებია, რომლებზე დაყრდნობითაც ჩვენ დავიპყრობთ მთელი ჩინეთის სიმდიდრეს. ამის შემდეგ ჩვენ დავიმორჩილებთ ინდოეთს, სამხრეთის ზღვებს, მცირე და ცენტრალურ აზიას და ბოლოს ევროპას“.

ამ ზრახვების განსახორციელებლად — 1931 წელს მათ მოახდინეს მანჯურიის ოკუპაცია და შექმნეს ე. წ. მანჯოუ-გო, როგორც კონტრრევოლუციური პლაცდარმი ს.ს.რ.კ. წინააღმდეგ. შემდეგ დაიპყრეს ჩახარისა და ჟეხეს პროვინციები (ჩრდ. ჩინეთში). ახლა კი თავის მტაცებლურ თათს იშვერენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისაკენ. იაპონელმა იმპერიალისტებმა მ.ს.რ. საზღვრებზე შექმნეს სამხედრო სტრატეგიული პუნქტები, რომლებიც კვანტუნის არმიის შტაბის კონტროლის ქვეშ იმყოფება, ამავე დროს მ.ს.რ-ს ძალით რომ მოახვიონ თავზე ომი, ისინი სისტემატურად აწყობენ ომის პროვოკაციას და ავანტიურისტულ თავდასხმებს მ.ს.რ. საზღვრებზე. პირველი ასეთი სერიოზული თავდასხმა იაპონელებმა მოახდინეს 1935 წლის 24 იანვარს. იაპონია-მანჯურიის რაზმმა გადმოლახა მ.ს.რ. საზღვარი და დაიპყრო ხალხინ-სუმეს რაიონი.

მონღოლეთ-მანჯურიის კონფერენციაზე, რომელიც მოწვეულ იქნა სადგ. მანჯურიაში ზემოაღნიშნული ინციდენტის მოსაგვარებლად, იაპონია-მანჯურიის დელეგატებმა არამც თუ თავი სცნეს დამნაშავედ, არამედ მათ მოითხოვეს თავიანთი რწმუნებულების დანიშვნა მ.ს.რ. რამდენიმე პუნქტში, მათ შორის ულან-ბატორშიც. კიდევ მეტი. მათ მოითხოვეს კვანტუნის არმიის შტაბის მუდმივი წარმომადგენლების გაგზავნა მ.ს. რესპუბლიკაში. ამრიგად, მონღოლეთ-მანჯურიის მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა. ამის შემდეგ იაპონია-მანჯურიის ჯარის ნაწილები ისევ განაგრძობენ სისტემატურ პროვოკაციულ თავდასხმებს მ.ს.რ. ტერიტორიაზე. უკანასკნელად ასეთი პროვოკაციული თავდასხმა მოხდა ა-წ 29 და 31 მარტს. იაპონია-მანჯურიის შეიარაღებული რაზმი თავს დაესხა მ.ს.რ. მესაზღვრეებს ადიკდოლონისა და ტამსიკ-ბულაკის რაიონებში. მონღოლეთის ჯარებმა (ცირიკები) გმირულად მოიგერიეს თავდამსხმელები და განდევნეს ისინი მ.ს.რ. ტერიტორიიდან.

◆

ტფილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში ბევრი მქსოველი — ქალი მუშაობს ვინოგრადოვას მეთოდით. მეორე კომპლექტის მუშა-ქალები კირიელნი გადავიდნენ 2 დაზგის მომსახურებიდან 4-ზე. სურათზე: სტახანოველი — ქალი ამხ. აზიკოვა.

გამართლებული ნდობა

მიხაკო მარუაშვილი ერთეული კომუნისტია ობჩის (ბაღდათის რაიონი) იაკოვლევის სახელობის კოლმეურნეობაში. პარტიული დოკუმენტების შემოწმების დროს იგი მოუმზადებელი წარსდგა პარტიის რაიკომში. მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებში ვერ ერკვეოდა, პარტიის წესდებას ვერ იცნობდა.

რაიკომის მდივნის ამხ. ლ. დუმბაძის შეკითხვაზე, თუ რა იყო მისი ჩამორჩენის მიზეზი, მან უპასუხა: წერა-კითხვა არ ვიცი, ჟურნალ-გაზეთებს და სახელმძღვანელოებს ვერ ვკითხულობ ამიტომ მიჭირსო... ჩამოვრჩი, მაგრამ უახლოეს ხანში გამოვასწორებ ამ ნაკლსო —პირობა მისცა რაიკომის მდივანს.

რაიკომის მდივანმა შესაძლოდ ჩათვალა მარუაშვილის პარტიაში დატოვება და დაავალა მას, უახლოეს ხანში გამოესწორებინა ჩამორჩენა, ესწავლა წერა-კითხვა, მომზადებულიყო პოლიტიკურად, — წინააღმდეგ შემთხვევაში პარტიის გარეთ დარჩებოდა.

მიხაკო მარუაშვილი პარტიის წევრია 1931 წლიდან. არასოდეს არ უგრძნია, მას ისეთი პასუხისმგებლობა, როგორც პარტდოკუმენტთა შემოწმებისას. ენერგიულად დაეწაფა სწავლას. რაიკომის ინსტრუქტორი კიკნაძეც დაეხმარა. მან მიხაკო მიამაგრა პარტიის წევრს — მასწავლებელ კობრეიძეს, რომელსაც დაავალა შეესწავლებინა მისთვის წერა-კითხვა, მათემატიკა და გეოგრაფია.

— განსაკუთრებით საშველოდ მომეჩვენა პარტიაში დარჩენა, — ამბობს მარუაშვილი, — როდესაც დავამუშავე საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის დეკემბრის პლენუმის დადგენილება პარტიულ დოკუმენტთა შემოწმების შედეგების შესახებ. ჩემთვის ცხადი გახდა, რომ თუ გადაჭრით არ ავამაღლებდი ჩემი განათლებისა და პოლიტიკური ცოდნის დონეს, პარტიულ დოკუმენტთა გამოცვლისას ჩემივე მიზეზით პარტიის გარეთ დავრჩებოდი. ამიტომ გულმოდგინედ დავიწყე მუშაობა.

ამოწმებ და მართლაც რწმუნდები, რომ მარუაშვილს ახლა პარტიულ ბილეთს აღარ დაუჭერენ. მან გულმოდგინედ შეასრულა რაიკომის მდივნის დავალება, გაამართლა მისი ნდობა.

მარუაშვილი მცირემცოდნეთა სკოლაში მოწინავე მსმენელად ითვლება. დოკუმენტების შემოწმებისას ხელს ძლივს აწერდა, ახლა ოთხწლედის პროგრამის კურსი აქვს გავლილი. პოლიტსკოლაში კარგად მეცადინეობს. კარგად შეისწავლა პარტიის წესდება, საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის დეკემბრის, საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მე-4 და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმების დადგენილებანი.

მარუაშვილი პარტიულ დავალებათა აქტიური შემსრულებელიცაა. იგი ხელმძღვანელობს კედლის გაზეთის მუშაობას. კოლმეურნეობაში ავრცელებს ჟურნალ-გაზეთებს. მისივე ინიციატივით ამ უკანასკნელ დროს კოლმეურნეობაში მოეწყო რადიო, ჩამოყალიბდა „წითელი ჯვრის" ორგანიზაციის უჯრედი და სხვ.

ერთ დროს ჩამორჩენილი, წერა-კითხვის უცოდინარი და პოლიტიკურად მოუმზადებელი კომუნისტი მიხაკო მარუაშვილი პარტდოკუმენტების გამოცვლას მომზადებული ხვდება.

ზრ. ძაძამიძე.
ირ. სულაბერიძე.

საგაზაფხულო თესვას საუკეთესო საექიმო მომსახურება

მინდვრად მუშაობა უკვე გაჩაღდა. კოლმეურნენი და საბჭოთა მეურნეობის მუშები მოეფინენ მინდვრებს და სტახანოვური გატაცებით ასრულებენ თესვის ყოველდღიურ გეგმას. სოციალისტური მიწათმოქმედების ენთუზიასტებს საუკეთესო საექიმო მომსახურება უნდა გავუწიოთ, რიგიანი საექიმო-სასანიტარო დახმარების აღმოჩენით. მათი ჯანმრთელობა კიდევ უფრო უნდა განვამტკიცოთ. ჯანსახკომმა ამ მიზნით შარშან დიდი მუშაობა გასწია. 1936 წელს ჯანსახკომი კიდევ უფრო აძლიერებს მედმომსახურებას. მოეწყობა 774 საექიმო-სასანიტარო ბრიგადა, რომლებიც 732 დღეს დაყოფენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ჩაატარებენ 7330 ლექცია-საუბარს სხვადასხვა სამედიცინო-სამკურნალო პროფილაქტიკურ თემებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში მოეწყობა პირველი დახმარების 1.123 წრე. ამ წრეებში 6.760 მუშა და კოლმეურნე შეისწავლის პირველი დახმარების აფთიაქის მოხმარებას. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უფასოდ დარიგდება 3100 პირველი დახმარების აფთიაქი და 30550 ინდივიდუალური დახმარების „პაკეტი". 712 სამედიცინო დაწესებულება მიმაგრებული ამხანაგებით ეხმარება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. მოეწყობა 335 სეზონური ხასიათისა და 23 ახალი მუდმივი საბავშვო ბაგა. მათთვის უკვე შეძენილია მაგარი და რბილი ინვენტარის სრული კომპლექტი.

მალარიასთან საბრძოლველად მალარიან რაიონებში ჩატარდა ქინინიზაცია, დამაზუთებულია მთელი რიგი ჭაობები, სწარმოებს მათი ამოშრობა (ლაგოდეხი, სიღნაღი, თელავი, სამტრედია და სხვ.). სოფლად გაიგზავნა სხვადასხვა სპეციალობის ექიმები: ქირურგები—ჭყონია, ჩიქოვანი, ჩიკვაიძე, ცინცაძე, მარაძე, ნევროპატოლოგები — ჩადირაძე, ასლამაზოვა და სხვ. ასეთივე რაოდენობით გაიგზავნენ თვალის და კანის სნეულებათა და ვენერიულ ავადმყოფობათა ექიმები. სოფლად სამუშაოდ დამატებით გაიგზავნება სხვადასხვა სპეციალობის 20 ექიმი. მოეწყო პროფესორთა 6 ბრიგადა, ამათგან ორმა უკვე ჩაატარა მუშაობა აფხაზეთსა და აჭარაში. ასეთივე ბრიგადები გაემგზავრებიან ჭიათურაში, გორში, სიღნაღში, ქუთაისში და სხვ. ბრიგადები მტკიცე გეგმის მიხედვით იმუშავებენ კოლმეურნეობებში.

სოციალისტური მინდვრის მუშაკებს, შრომის საუკეთესო ოსტატ-სტახანოველებს საუკეთესო საექიმო მომსახურებას გაუწევთ.

ექ. ნ. კერკენჯია

დაიწყო თამბაქოს დამუშავება

სიღნაღი, 8 მაისი. სიღნაღის რაიონში 5 მაისისათვის თამბაქო დარგული იყო 650 ჰექტარზე. 4 მაისიდან რაიონში უკვე დაიწყო თამბაქოს პლანტაციების გათოხნა. რაიონი სტახანოვური მოძრაობისათვის ემზადება. დეკადა 14 მაისიდან იწყება.

დეკადის განმავლობაში უნდა დამთავრდეს როგორც თამბაქოს დარგვა, ისე ადრეულად დარგული თამბაქოს პირველი გათოხნა—ასეთია ამოცანა.

ვკრიფოთ ჩაი სტახანოვური ტემპებით და ხარისხიანად

გალის რაიონის სტახანოველთა წერილი ამხ. ლ. ბერიას

გალის რაიონის მკრეფავი სტახანოველი კოლმეურნენი, შეკრებილნი თქვენი სადირექტივო წერილის განსახილველად და მის საფუძველზე ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის სახელმწიფო დავალებათა მაღალხარისხოვნად და უდანაკარგოდ შესრულებისათვის კონკრეტულ ღონისძიებათა გამოსამუშავებლად, სტახანოვურ სალამს გიძღვნით თქვენ, ამხანაგო ლავრენტი, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა ნაცად ხელმძღვანელს, ხალხთა დიდი ბელადის სტალინის ღირსეულ მოწაფეს.

რაიონში გვყავს ჩაის მკრეფავი 286 ბრიგადა. დღემდე ორგანიზებულია 518 მკრეფავი ჯგუფი. განუწყვეტელი კრეფის წესების შესასწავლად კურს-კონფერენცია გაიარა 7145 მკრეფავმა, მათ შორის 286 ბრიგადირმა, 518 ჯგუფხელმა, 1661 კოლმეურნემ. ჩაის მკრეფავი ბრიგადები ადგილებზე უზრუნველყოფილი არიან საწყობებით. სპეციალურად გამოვყავით ტრანსპორტი, რომლითაც მოკრეფილი ფოთოლი დაუყოვნებლივ მიტანილი იქნება მიმღებ პუნქტზე. მომზადდა 286 კოლმეურნე და ბრიგადირი, რომლებიც ცალკეულ მკრეფავებისგან მიიღებენ ჩაის მწვანე ფოთოლს და განსაზღვრავენ ხარისხს.

მთელი რაიონის მკრეფავი კოლმეურნე ქალებისა და მამაკაცების სახელით ჩვენ, ამ შეკრების მონაწილენი, მტკიცე პირობას გაძლევთ, ამხანაგო ლავრენტი, ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მიმდინარე წლის სახელმწიფო დავალება შევასრულოთ ვადაზე და მაღალხარისხოვნად, რისთვისაც ვკისრულობთ გავატაროთ შემდეგი ღონისძიებანი:

განუხრელად განვახორციელოთ ჩაის ფოთლის განუწყვეტელი კრეფა. ვკისრულობთ ჩვენთან მომუშავე 10 მკრეფავს მაინც გადავცეთ ჩვენი მუშაობის გამოცდილება და გავხადოთ ისინი სტახანოველ მკრეფავებად;

მოკრეფილი ფოთოლი სუფთად და დაუჭმუჭნავად ჩავაბაროთ მიმღებ პუნქტებს დღეში სამჯერ მაინც.

კრეფას მოვაწყობთ ცალ-ცალკე ხარისხების მიხედვით და სხვადასხვა ხარისხის ჩაის ფოთოლს ერთმანეთში არ ავურევთ.

ბრიგადებში მოწყობილი ჯგუფები მივამაგროთ საკრეფ ნაკვეთებს და ამით უზრუნველვყოთ შემოსული დღეების დროულად და მაღალხარისხოვნად კრეფა.

ჩაის ფოთლის მაღალხარისხოვნად და უდანაკარგოდ მოკრეფისა და დამზადების გეგმების წარმატებით შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ ოჩამჩირის, ზუგდიდის და ცხაკაიას რაიონებს.

არბიტრებად ვასახელებთ მიწსახკომს და „კომუნისტის" რედაქციას.

(წერილს ხელს აწერს შეკრების მონაწილე 262 კოლმეურნე).

ჩაის კრეფა საბჭოთა მეურნეობებში

(„საქჩაის" 5 მაისის ცნობებით).

წელს საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს უნდა ჩააბარონ 4.588.320 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

აქედან მაისში უნდა მოიკრიფოს 1.101.197 კილოგრამი. 5 მაისისათვის მოკრეფილი იყო 200.877 კილოგრამი, მაისის გეგმის 18,9 პროცენტი.

შარშან ამავე რიცხვისათვის მოკრეფილი იყო 14.855 კილოგრამი, მაისის გეგმის 2,6 პროცენტი.

როგორც ჩანს, წელს ჩაის ფოთოლი დროულად შემოვიდა. მთელი რიგი საბჭოთა მეურნეობანი ოპერატიული მუშაობის ნიმუშებს იძლევიან. მაგალითად, 5 მაისისათვის ნარაზენის საბჭოთა მეურნეობას ფოთლის კრეფის მაისის გეგმა შესრულებული ჰქონდა 29,9 პროცენტით, ჩაქვისას — 29,1 პროცენტით, წულუკიძეს — 23,3 პროც.

ცალკე საბჭოთა მეურნეობების მიხედვით გეგმის შესრულება ასეთ სურათს იძლევა:

სალიბაურის საბჭოთა მეურნეობას მოკრეფილი აქვს 11.954 კილოგრამი ფოთოლი (გეგმის 19,2 პროცენტი), ქობულეთისას — 14.904 კილოგრამი (გეგმის — 8,8 პროც.), კიროვისას — 22.000 კილოგრამი (13 პროც.), ნასაკირალისას — 26.486 (19,4 პროც.), დიდიჯიხაისას 10.028 (16,8 პროც.), ლესიჭინისას 547 კილოგრამი (5,9 პროც.), ჯოლევიანისას — 2.573 (12,5 პროც.), ანასეულისას — 6.081 (10,7 პროც.), კოდორისას — 2.993 (22,4 პროც.)

შარშან საბჭოთა მეურნეობებმა ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა წარმატებით შეასრულეს. ახლა ამოცანა ის არის, რომ ჩაის ფოთოლი იკრიფებოდეს განუწყვეტლივ და არ დაეუშვათ მისი გაუხეშება.

ამ საბრძოლო დავალების შესასრულებლად საჭიროა ჩაის ფოთლის კრეფაში მტკიცედ დავნერგოთ სტახანოვური მუშაობის წესები. ამ მხრივ მისაბაძ მაგალითს იძლევიან კიროვის (მახარაძის რაიონი), ჩაქვის (ქობულეთის რაიონი) და წულუკიძის საბჭოთა მეურნეობანი, სადაც დღითიდღე იზრდება სტახანოველთა რიგები.

თ. ქ.

სტახანოველი მკრეფავების ახალი რეკორდები

წელს ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობას შარშანდელთან შედარებით თვალსაჩინოდ გაზრდილი გეგმა აქვს შესასრულებელი. თუ შარშან 723.000 კილოგრამი მწვანე ფოთოლი მოიკრიფა, წელს გეგმით უნდა მოიკრიფოს 1.063.000, რაც „საქართველოს ჩაის" ტრესტის მთლიანი გეგმის 25 პროცენტს უდრის.

სრულმოსავლიანობაზე გადასულმა ახალმა პლანტაციებმა 1936 წელს ჰექტარზე უნდა მოგვცენ 1.600 კილოგრამი მწვანე ფოთოლი. ჩაქვის მეურნეობის სრულმოსავლიანი პლანტაციები ამ მხრივ დიდ წარმატებებს აღწევენ. წელს აქ ჰექტარზე 2.600 კილო ჩაის მწვანე ფოთოლს მიიღებენ. ყველაფერი ეს წინასწარ სწორი აგროტექნიკური ზომების გატარებისა და მეურნეობის სტახანოველთა თავდადებული მუშაობის შედეგია.

24 აპრილს მეურნეობა უკვე შეუდგა კრეფას. ამ დღეს მოკრიფეს 3.156 კილოგრამი, 25-ს — 2.820, 26-ს — 4.400, 27-ს — 9.300. სულ შვიდ დღეში, 30 აპრილამდე მოკრეფილია 50.000 კილოგრამი პირველი ხარისხის მწვანე ფოთოლი რაც უკვე ჩაიბარა ქარხანამ.

სტახანოველთა პირველი მიღწევები შემდეგში გამოიხატებოდა: ძველი სტახანოველები კოლესნიჩენკო, ხარცევა, ზინჩენკო და სხვ. მიმაგრებული იყვნენ ბრიგადებზე, რომ კრეფა შეესწავლებინათ ახალი მუშებისათვის. მათმა ხელმძღვანელობამ შრომის ნაყოფიერება ასწია. თუ შარშან მეურნეობას კრეფის დარგში 28 სტახანოველი ჰყავდა, ამჟამად უკვე ჰყავს 105 კაცი, რომლებიც ნორმით გათვალისწინებული 14 კილოგრამის ნაცვლად ჰკრეფენ 25-ს, ზოგიერთი მათგანი კი, როგორც არის ფალია დოლიძე, — 45 კილოს, მარიკა გრიგორიადი ჰკრეფს 40-დან 45 კილომდე.

მეურნეობას გადაწყვეტილი აქვს მაისის გეგმის შესასრულებლად ყოველდღიურად ჰკრიფოს 12.000 კილო ფოთოლი.

ე. კ.

არღვევენ ჩაის კრეფის აგროწესებს

აჭარის კოლექტიურმა საბჭოთა და ერთპიროვნულმა მეურნეობებმა ჩაის ფოთლის კრეფა 23 აპრილიდან დაიწყეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი კოლმეურნეობა ჩაის ფოთლის კრეფას მოუმზადებელი შეხვდა, რის გამოც უხეშად ამახინჯებენ კრეფის წესებს, ზოგან ჩაის კრეფის გეგმები თვეების მიხედვით დაყვანილი არ არის ცალკე ბრიგადებამდე. კრეფაზე გამოჰყავთ მცირეწლოვანები, რომლებმაც სრულებით არ იციან კრეფის ახალი წესები. შემოწმებამ გამოარკვია, რომ აჭარისწყლის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა იუსუფ სალხანიძემ, და არც მისი ბრიგადის წევრებმა, არ იცოდნენ ჩაის ფოთლის კრეფის გეგმები და ნორმები. ასეთები კოლმეურნეთა კრებაზე არ დაუმუშავებიათ. კოლმეურნე ა. მხეიძე და სხვები 4-5 ფოთლიან ყლორტებს ძირშივე სწყვეტენ, ვინაიდან მათთვის არ უსწავლებიათ კრეფის ახალი წესები.

ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში" ამხ. ჰერცოვის ბრიგადის წევრები ბუჩქზე ყველა ფოთოლს ჰკრეფენ. ასეთივე მდგომარეობაა ვოროშილოვისა და მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობების ზოგიერთ ბრიგადაში.

ასეთი მდგომარეობა ყოვლად შეუწყნარებელია. იგი დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

ჯ. შამილაძე.

აბრეშუმის ფაბრიკის მქსოველი სტახანოველი, ამხ. მინა ზაქარიაშვილი მუშაობს ოთხ დაზგაზე.

პროფ. სარგის კაკაბაძე

ისტორიული ფრონტის შესახებ

(ჩემი შეცდომები)

საკავშირო კომპარტიის ც. კ-ის და სახკომსაბჭოს დადგენილებანი ისტორიის სახელმძღვანელოებისა და ისტორიული ფრონტის შესახებ, კერძოდ საქართველოს ისტორიაში მომუშავეთა წინაშე—მუშაობის გარდაქმნის საკითხს აყენებს. ჩვენ, საქართველოს ისტორიკოსები, ვალდებული ვართ საბჭოთა კავშირის ისტორიის ამ ერთ პატარა, მაგრამ მნიშვნელოვან უბანზე გავაკეთოთ მაქსიმუმი იმისა, რისი გაკეთებაც კი შეიძლება.

მაგრამ ასეთი მუშაობის პროცესი აუცილებლად გულისხმობს მკაცრ თვითკრიტიკას ყველაფერ იმისას, რაც აქამდე გაკეთებულა, რათა შეცდომების მკვეთრად მხილებით შევძლოთ ისტორიის, ამ უაღრესად პოლიტიკური დისციპლინის, სწორად მომარჯვება მუშათა კლასის ინტერესების სასარგებლოდ.

განსაკუთრებით ეს საჭიროა ისტორიაში მომუშავე იმ პირთათვის, რომელნიც ჩემსავით საკმაოდ გრძელი სტაჟის მქონენი არიან, რომელთაც თავისი მუშაობის ნაწილი წინასაბჭოურ პერიოდში შეუსრულებიათ და მაშინ შეგნებული არ ჰქონდათ პროლეტარიატის მძლავრი რევოლუციური მნიშვნელობა კაცობრიობის განვითარების ყველა დარგში, კერძოდ — პროლეტარული იდეოლოგიის ცხოველმყოფელი ძალა ჭეშმარიტი ისტორიული სინამდვილის შესაცნობად.

ამ თვალსაზრისით, წინასაბჭოურ პერიოდში ჩემ მიერ გამოქვეყნებულ სხვადასხვა შრომებს შორის, რომელნიც უმთავრესად სოციალური და ეკონომიური ხასიათის ძველ ისტორიულ მასალებს წარმოადგენენ, ცალკე უნდა აღინიშნოს „საქართველოს მოკლე ისტორია", ახალი ხანის ეპოქა, (1920 წლის გამოცემა), რომელიც „ახლადგაეროვნებული" ქართული სკოლისთვის იყო განკუთვნილი სახელმძღვანელოდ ან დამხმარე წიგნად.

რას წარმოადგენს ეს წიგნი? ჯერ-ერთი, ის სრულებით არ არის აგებული მარქსისტული მეთოდოლოგიის საფუძველზე. ის შეიცავს კერძოდ წინარევოლუციურისა და მენშევიკების ხანის (ვიდრე 1919 წლის დასასრულამდე) ამბების თხრობაში მთელ რიგ უხეშ დამახინჯებას და პოლიტიკურად მიუღებელ, მავნე შეხედულებებს. ისეთი ყალბი და ცილისმწამებლური დებულებანი, როგორიც არის საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის გამოცხადება 1917—1919 წლების რუსეთში სოციალურ ექსპერიმენტად, საქართველოში ბოლშევიკების მაშინდელი გამოსვლების რევოლუციური ხასიათის ვერგაგება, დახინჯება, მენშევიკური ხელისუფლების ტირანული თვითნებობის და ხალხის საწინააღმდეგო მოქმედების შეუგნებლობა და სხვა ბევრი ასეთი პოლიტიკურად მავნე დებულებანი, წარმოადგენენ ამ წიგნის იდეათა სისტემას.

არამარქსისტულად არის აგებული აგრეთვე ჩემი „საქართველოს ისტორია", ახალი საუკუნეების ეპოქა (1922 წლის გამოცემა). ამ წიგნის ბოლოში დაშვებულია უხეში პოლიტიკური შეცდომაც. ეს წიგნი ფაქტიურად წარმოადგენს 1920 წლის გამოცემის ვრცელ ვარიანტს და ამასთანავე ის თითქმის მთლიანად, როგორც ეს წინასიტყვაობაშიც არის აღნიშნული, მენშევიკების დროს დაიბეჭდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მე გადაჭრით უარვყავი ჩემი წარსული საზოგადოებრივი შეცდარი გზა და დავადექი კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ გაკვალულ და შექმნილ ახალ ცხოვრებას. რაც შეეხება ხსენებულ წიგნებში დაშვებულ მეთოდოლოგიურ, უხეშ პოლიტიკურ და ფაქტიურ დამახინჯებებს, მე მათ ყოველთვის აღვნიშნავდი იმ ჯგუფებში, სადაც ვასწავლიდი და საჯაროდ დავგმე ისინი 1930 წ., 1932 წ. (და უკანასკნელად მიმდინარე წელს) ტფილისში ისტორიული ფრონტის შესახებ ჩატარებულ დისპუტებზე.

მაგრამ მიუხედავად ამისა, [illegible] საისტორიო მეცნიერებაში საქართველოს ძველი ისტორიის კონკრეტულ ფაქტებზე რაიმე თვალსაჩინო იდეოლოგიური მიღწევების გამოჩენა ჩემთვის მაინც არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ეს აიხსნებოდა საქართველოს შესახებ ჩვენი ისტორიული მეცნიერების დიდი ჩამორჩენილობით ფაქტიური მასალის მხრივ და გარდა ამისა, იმითაც, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში მე, საბჭოთა ორგანოების მინდობილობით, ძლიერ ბევრს დროს ვანდომებდი საარქივო ფონდების დაგროვებას, საარქივო საქმის მოწყობას, სიძველეთა დაცვის პრაქტიკულად გატარებას და განხორციელებას და, კერძოდ, ძველი ქართული ისტორიული საბუთების და ხელნაწერების შეგროვებას. ამ პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად მე კვლევით მუშაობას ვეწეოდი საქართველოს ისტორიის ცალკე პრობლემებზე და სწორედ აქ გამოჩნდა იმ ჭეშმარიტების სინამდვილე, რომ თუ ფაქტების დაგროვებისას და მათი ათვისებისას არა გვაქვს სწორი საფუძველი — მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგია, საგამოკვლეო მუშაობა უნაყოფოდ დარჩება. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელო ჩემი შრომა „ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები" (კრებული „საისტორიო მოამბეში", 1924 წ.), სადაც დაგროვილია ბევრი ფაქტიური მასალა. მაგრამ რადგანაც მე ვერ შევძელი მაშინ ამ მასალისადმი მარქსიზმ-ლენინიზმის ბასრი იარაღით მიდგომა, ამიტომაც თვით სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ გარკვეული რამ ამ შრომაში ვერ იქნა მიცემული. ესევე შეიძლება ითქვას სხვა სპეციალურ ჩემს გამოკვლევათა შესახებ, რომლებიც დაიბეჭდა 1924-1929 წლების „საისტორიო კრებულში" (4 წიგნი). ასე, მაგალითად, შრომა „მასალები საქართველოს სოციალური და ეკონომიური ისტორიისათვის" („საისტორიო კრებულის" სამ წიგნში) შეიცავს მე-15—17 საუკუნის გლეხების საბეგრო დავთრების მხოლოდ ფაქტოლოგიურ შესწავლას დასავლეთ საქართველოს ეკონომიკის და სოციალური ურთიერთობის ზოგად პრობლემასთან დაუკავშირებლად. ამიტომაც მაშინ მე ვერ შევძელი ამ მეტად საყურადღებო მასალის გამოყენება ბატონყმობისა და ბატონყმური მეურნეობის ჩარჩოში განვითარების ცალკე ეტაპების სწორად დასადგენად. ეს კი თავიდან აცილებული იქნებოდა, ჩემს გამოკვლევას დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდი, რომ დასდებოდა საფუძვლად.

ამავე ხანებში რუსულად დაბეჭდილ (ცალკე ამონაბეჭდის სახით) ჩემს კონსპექტურ წერილში — „საქართველოს საშუალო საუკუნეები სოციალურ და ეკონომიურ საკითხებიდან" — უკვე მოცემული იყო კლასთა ბრძოლის ფაქტები. ასე, მაგალითად, ამ ბროშურაში წვრილ ერისთავებსა და მსხვილ მფლობელებს შორის არსებულ კლასობრივ წინააღმდეგობათა თვალსაზრისით იყო ახსნილი ძველი ქართული ლიტერატურის ერთერთ უმნიშვნელოვანესი ძეგლი—„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება", იქვე აღნიშნული იყო სოციალური ბრძოლების შედეგად ფეოდალიზაციის პროცესის წამყვანი ელემენტების გამარჯვება მე-580 წლებში, კერძოდ აშოტ კურაპალატის მოკვლა 826 წ. განმარტებული იყო, როგორც ერისთავების (თავისუფალ მესაკუთრეთა) აჯანყება მის წინააღმდეგ (ამ დროს გაბატონებული კლასი ჩვენში აწარმოებდა ფეოდალური წყობილების კონსტრუქციულად ჩამოყალიბებას). მაგრამ აქაც ამ წერილში, სწორად არ იყო წარმოდგენილი მოვლენათა დიალექტიკური განვითარება. მარქსისტულ-ლენინური გაგება, არ იყო მოცემული ცნობები ფეოდალური საზოგადოების წიაღში უკვე მე-11-12 საუკუნის განმავლობაში გლეხების დიდ სოციალურ ბრძოლათა და ცალკე მასობრივი გამოსვლების შესახებ, რის დადგენა მე შევძელი მხოლოდ შემდეგ.

1930 წ. ა.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტის კრებულში დაბეჭდილი წერილი — გამოკვლევა — „გლეხთა საკითხი და გლეხთა მოძრაობანი ძვ. საქართველოში მე-18 საუკუნეში", ახლადმოპოვებულ მასალებზე დაყრდნობილი, იდეოლოგიური გამართვის თვალსაზრისით თითქოს მეტი იმედის მომცემი იყო, მაგრამ აქაც არის დაშვებული მექანისტური შეცდომები, კერძოდ სავაჭრო კაპიტალის მნიშვნელობის დამოუკიდებელ ფაქტორამდის გაზვიადება და სხვ. ამათ აუცილებლად ესაჭიროება საფუძვლიანი გასწორება. გაუგებრად არის იმავე წერილში მოყვანილი ცნობა როსტომ მეფის დროს (მე-17 საუკუნეში) გლეხების მიწაზე კვლავ მიმაგრების შესახებ და არ არის გაშუქებული, რომ ეს დადგენილება წარმოადგენდა მე-16 საუკუნის პირველ ნახევრამდის არსებული მდგომარეობის განახლებას.

ამ რამდენიმე წლის წინათ ჩემ მიერ ჩამოყალიბებული მიმოხილვა საქართველოს ისტორიისა, რომელიც ჯერ დაბეჭდილი არ არის და რომელიც ვრცელი კონსპექტების სახით ვრცელდებოდა სტუდენტების ცალკე ჯგუფებში ტფილისის, ქუთაისის და სხვაგანაც, აგრეთვე საჭიროებს, ცალკე დებულების შესწორებას და დაზუსტებას. მიმოხილვა აგებულია ფორმაციების სახით პერიოდიზაციის სისტემაზე. მოცემულია კლასთა ბრძოლის ახალი ფაქტები, თუმცა ბევრ შემთხვევაში ვერაა მარქსისტულ-ლენინური მათი ახსნა - განმარტება. მე ეხლა ვაწარმოებ მუშაობას ამ სერიოზულ ნაკლთა გამოსასწორებლად.

პარტია და ხელისუფლება ამჟამად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ისტორიულ ფრონტს, რაც ჩვენი სოციალისტური კულტურის მშენებლობის თვალსაზრისით მეტად აღიდებს ყველა იმ პირთა პასუხისმგებლობას, რომელნიც, კერძოდ, საქართველოს ისტორიაში მუშაობენ. რატომ? იმიტომ, რომ მაშინ, როდესაც რუსეთის და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების ისტორიის შესახებ შესაძლებელია გამოვიყენოთ რუსულად უკვე გამოქვეყნებული ან ახლა მზადებაში მყოფი იდეოლოგიურად გამართლებული შრომები, საქართველოს ისტორიის მაღალ მარქსისტულ-ლენინურ დონეზე აყვანა უნდა მოხდეს საქართველოს ისტორიის სპეციალისტთა პროგრესიული ძალებით. საჭიროა, მაშასადამე, ყოველმა ამ დარგის მეცნიერ-მუშაკმა ერთი მხრივ გაშალოს მუშაობა ახალი წერილობითი საბუთების, თუ მატერიალური კულტურის მონაცემ და სხვა ისტორიული მასალების შესაკრებად, მეორე მხრივ — რაც მთავარია — გაამხილოს და შესძლოს უკვე არსებული ფაქტიური მასალის მეთოდოლოგიურად სწორად ათვისება.

კრიტიკამ და აზრთა საჯარო გაცვლა-გამოცვლამ აშკარაჰყო, რომ საქართველოს ისტორიის ფრონტზე ადგილი ჰქონდა და აქვს ბევრ ყოვლად დაუშვებელ დამახინჯებას და უხეშ შეცდომას. საჭიროა ამ შეცდომების ლიკვიდაცია და საქართველოს ისტორიის გამართვა იმ მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც ჩამოყალიბებულია და განვითარებული მშრომელთა და ჩაგრულთა დიდი იდეოლოგებისა და ბელადების მარქს-ენგელსის ლენინ-სტალინის მიერ.

ძალღონეს არ დავზოგავ ამ მიმართულებით მუშაობისათვის.

ტელმანის სახელობის კოლმეურნეობას (საგარეჯოს რაიონის სოფ. სართიჭალა). აქვს მდიდარი სარძეო ფერმა. რომელიც საქონლის საუცხოოდ დაყენებით განირჩევა და საჩვენებელია ამ რაიონში. სურათზე: ძროხის წველა.
ფოტო ხერძაძის.

მგზავრთა კულტურული მომსახურებისათვის

უკვე დაცხა. ა.-კ. რკინიგზა სტახანოვური წლის ზაფხულს მომზადებული უნდა შეხვდეს. მალე მოაგარაკენი მოადგებიან სადგურებს. ამისათვის ახლა გაცხოველებით მიმდინარეობს ვაგზალთა კულტურულად მოწყობა. ამ საქმისათვის მარტო მეორე საექსპლოატაციო განყოფილება 720 ათას მანეთს ხარჯავს. ვაგზლების კეთილმოწყობა უნდა დამთავრდეს 15 მაისს, რის შემდეგ დაიწყება მატარებლების ახალი გრაფიკით მიმოსვლა. მაგრამ სამზადისი სუსტად მიმდინარეობს. საერთოდ ეს საქმე წელს გვიან დაიწყო. როგორც მეორე განყოფილების უფროსის მოადგილემ ამხ. გ. მაჭავარიანმა განაცხადა დღემდე მუშაობა დაწყებულია მხოლოდ ტფილისის, ნავთლუღის, გარდაბანის, ავჭალის და გომის სადგურებში ჩვენს შეკითხვაზე, მოასწრებს თუ არა მეორე განყოფილება 15 მაისისათვის ვაგზალთა კეთილმოწყობას, — მაჭავარიანმა განაცხადა: ვერ მოვასწრებთო. ეს მაშინ როცა მეორე განყოფილება მთელ რიგ კურორტებს ემსახურება. არ კმარა მარტო მატარებელთა რიცხვის გადიდება. პირველ რიგში საჭიროა სადგურების კულტურულად მოწყობა.

პირველმა განყოფილებამაც (უფროსი გ. ცომაია). სამზადისი გვიან დაიწყო ქუთაისის სადგურში მთელი რიგი უწესრიგობა ხდება. მგზავრთა მოსაცდელი დარბაზი მოუწყობელია. პირველ კლასის დარბაზში თუ საჭმელი არ ჭამე, ან ღვინო არ დალიე ,ისე არ გაგაჩერებენ, მე-2 კლასის დარბაზში სკამები არ არის საკმარისი და მგზავრები იატაკზე სხდებიან. ასეთივე მდგომარეობაა ჭიათურის, ტყიბულის და შორაპნის სადგურებში.

ხშირად მატარებლებზე ზედმეტ ბილეთებს ჰყიდიან. მოლარეები გულგრილად ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას. რამდენსაც მოისურვებენ, იმდენ ბილეთს ჰყიდიან. ეს მატარებლის გადატვირთვას იწვევს. 30 აპრილს ნავთლუღის სადგურის მოლარემ წნორის მატარებელზე (№61) 37 ზედმეტი ბილეთი გაყიდა, რის გამო ვაგონებში მგზავრებს დასაჯდომი ადგილი არ ჰქონდათ. ასეთი შემთხვევა მრავალია.

მგზავრთა კულტურული მომსახურებისათვის დიდი მუშაობა ჩაატარეს ტფილისის სავაგონო დეპოს ხელმძღვანელებმა. დეპოზე 11 სამგზავრო მატარებელია მიწერილი, რომელთა შეკეთება და წესრიგში მოყვანა უკვე მთავრდება.

სავაგონო დეპოს მატარებლების ბრიგადებმა უკვე გაიარეს ტექნიკური გამოცდები. 430 კაციდან გამოცდა ვერ ჩააბარა მხოლოდ 10 კაცმა. გამცილებლები მომარაგებულნი არიან სასიგნალო ხელსაწყოებით. გარდა ამისა მათ მისცეს ახალი სპეცტანისამოსი. 15 მაისიდან დეპოს 180 გამცილებელი მოემატება. ამრიგად წინასწარ შექმნილია ყველა პირობა ახალ მატარებლებში მგზავრთა კულტურული მომსახურებისათვის. ტფილისელთა მაგალითს სამტრედიის სავაგონო დეპოს მუშაკებმაც უნდა მიჰბაძონ.

ა.-კ. რკინიგზაზე 15 მაისიდან შორეული მიმოსვლის 4 მატარებლის ნაცვლად 6 ივლის. ასევე გადიდდება ადგილობრივი და საგარეუბნო მიმოსვლის მატარებელთა რიცხვიც. ა.-კ. რკინიგზა სადგურების კეთილმოწყობისა და მატარებელთა კულტურულად მორთვისათვის დიდძალ თანხას ხარჯავს. თუ წინათ განსაკუთრებული ყურადღება ტვირთზიდვის გეგმის შესრულებას ექცეოდა, ახლა რკინიგზელები მგზავრთა კულტურული მომსახურებისათვის იბრძვიან. მაგრამ აღებული ტემპები არ არის საკმარისი. პირველმა და მეორე განყოფილების ხელმძღვანელებმა სადგურების შეკეთება და კეთილმოწყობა ვადაზე უნდა დაამთავრონ.

ქ. გ—ა

ტფილისის გამწვანება

ტფილისის გამწვანებას უდიდესი კულტურული და ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. ქალაქში ბაღების, სკვერების და ქუჩებში ნარგავების გამრავლებით ჩვენ ხელს შევუწყობთ მშრომელთა ჯანმრთელობას, მოვსპობთ მტვერს, გავასუფთავებთ ჰაერს, გავზრდით ქალაქის სილამაზეს.

„ქალაქის გამწვანება ფუფუნება ან კაპრიზი კი არ არის, არამედ უაღრესად სერიოზული ამოცანაა" (ლ. ბერია).

ამ მხრივ სერიოზულ მშენებლობას ეწევა ტფილისის საბჭოს „გამწვანშენი". რომელიც 1936 წლის სამშენებლო გეგმით ქალაქის გამწვანებაზე 2.760 ათას მანეთს ხარჯავს. ტარდება ბაღ-პარკების, სანერგეების და სატყეო მშენებლობა.

ბაღ-პარკების მშენებლობაში მთავარი ადგილი უჭირავს ლენინის რაიონში (საბჭოს ქუჩის ბოლოში) 7 ჰექტარ ფართობზე კულტურისა და დასვენების პარკის მშენებლობას, რომლისთვისაც მიმდინარე წელს დაიხარჯება 101 ათასი მანეთი. ხსენებული ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით. აღსანიშნავია, რომ პარკის მორწყვა მთლიანად იწარმოებს მექანიკური წესით (პროფ. ა. დიდებულიძის გეგმის საფუძველზე).

ქუდიანი ხოჯევანქის სასაფლაოზე წელს მოეწყობა კულტურისა და დასვენების პარკი. რისთვისაც უნდა დაიხარჯოს 200 ათასი მანეთი.

ბაზრის მოედანზე ([illegible]) გაშენდება სკვერი 1 ჰექტარის ფართობზე. სამისო მუშაობა უკვე დაწყებულია. სკვერში მოეწყობა [illegible] შადრევანი, [illegible] დაირგვება მუდმივი მწვანე და წიწვიანი მცენარეები. წელს აღნიშნული [illegible] მხოლოდ გამწვანებაზე დაიხარჯება 80 ათასი მანეთი.

მიმდინარე წელს ჩელუსკინელთა ხიდის მისასვლელებზე დაირგვება წიწვიანი ხეები, გაფორმდება ყვავილნარებით. ამ სამუშაოს დასამთავრებლად დაიხარჯება 130 ათასი მანეთი.

გასულ სეზონში ფუნიკულიორის ფერდობებზე დარგულ ფოთლოვან და წიწვიანი მცენარეების გარდა მიმდინარე ზაფხულზე, დამატებით ჩაირგება [illegible]0 ათასი ძირი ელდარის საუკეთესო ფიჭვი. მორწყვის მოწესრიგებისათვის აშენდება წყალსაცავები და გაყვანილი იქნება ლილები. ფუნიკულიორის ფერდობების გამწვანებულად წელს დაიხარჯება 100 ათასი მანეთი.

გეგმით გათვალისწინებულია კომკავშირის გორის მარჯვენა მხრის გამწვანება, სადაც ირგვება 400 ძირი (12 წლიანი) ფიჭვი, გაფორმდება სხვადასხვა დეკორაციული ყვავილნარით და ფოთლოვანი მცენარეებით. კომკავშირის გორის გამწვანებისათვის წელს დაიხარჯება 90 ათასი მანეთი, რაც ვერ უზრუნველყოფს მშენებლობის დამთავრებას. კომკავშირის გორა წარმოადგენს ერთერთ საუცხოო ადგილს თავისი ადგილმდებარეობით. მისი სრული გამწვანება ტფილისს ერთერთ [illegible] შემატებს.

ფუნიკულიორის 14 ჰექტარ ფართობზე წელს მოეწყობა აკადემიკოს გინზბურგის პროექტის მიხედვით საუკეთესო პლატო. დღეს ფუნიკულიორის პლატოზე ხრიოკი ადგილები და ერთი უბადრუკი სასადილოა. დღემდე არავითარი ყურადღება არ ექცეოდა ამ ულამაზეს ადგილის გამშვენიერებას. მიმდინარე წელს აქ შენდება ბიბლიოთეკა, სამკითხველო, სასადილო, მუშათა დასასვენებელი სახლები, კლუბი, წყალსადენი, მოეწყობა საუკეთესო შადრევნები, წყლის რეჟიმის მიზნით შადრევნებიდან დაღვრილი წყალი დაგროვდება წყალსაცავებში, დაირგვება წიწვიანი მცენარეები, დაგეგმილი ნაკვეთები მოიფინება ყვავილნარით და სხვ. ფუნიკულიორის პლატოს მოწყობისათვის დამატებით უნდა დაიხარჯოს 2 მილიონი მანეთი (ეს თანხა არ შედის „გამწვანშენის" ბიუჯეტში.)

აღსანიშნავია, რომ წელს „გამწვანშენი" ახდენს ყველა წვრილსანერგეების კონცენტრაციას და ის გადაჰქვს დიღმის სანერგეში, სადაც 200 ჰექტარ ფართობზე მოეწყობა საუკეთესო სადეკორაციო-სასათბურე მეურნეობა, იწარმოებს წიწვიან და ფოთლოვან მცენარეთა თესვა, აგრეთვე მყნობით ნერგების გამოყვანა და სხვა. აღნიშნულ სანერგის მოსარწყავად მტკვარზე იდგმება მძლავრი წყალსაქაჩი, რომლის მშენებლობას ხელმძღვანელობს პროფესორი დოხამიძე. დიღმის სანერგე იქნება ტფილისის დასაყრდენი ბაზა კულტურული ნერგით მომარაგებისათვის. ის გადაიქცევა ერთერთ უდიდეს სანერგედ მთელ ამიერ-კავკასიაში. წელს ამ საქმეზე იხარჯება 600 ათასი მანეთი.

აგრ. ვალ. მინდაძე

ადგილობრივი საშენი მასალის საგასაცემო ფასების შესახებ

საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილება

„1936 წლის ადგილობრივი საშენი მასალის საგასაცემო ფასების შესახებ" გამოცემული, შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1936 წ. მარტის 5-ის თარიღით და 110 №-ის დადგენილების შესაბამისად — საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შემცირებულ იქნას ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა, საქალაქო საბჭოებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა, აგრეთვე, სარეწაო კოოპერაციის სისტემის საწარმოთა საშენი აგურის არსებული საგასაცემო ფასები 5 პროცენტით და გაისაზღვროს აგურის შემდეგი დიფერენცირებული საგასაცემო ფასები ფრანკო-ქარხანა ცალკეული საწარმოების მიხედვით.

I. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმონი.

ლოჩინი - ღრმაღელის, ტყვირისა და ნოსირის ქარხნები 60 მან. ათასი ცალი.

II. ტფილისის საქალაქო საბჭოს საწარმონი

ტფილისის საბჭოს 7 აგურის ქარხანა.. 60 მან ათასი ცალი.

III. ქუთაისის ქარხანა

(ყოფ. შრომა - გამ. დაწეს. მთ. სამ.)
60 მან. ათასი ცალი.

IV. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების მრეწველობის საწარმონი.

ა) ლანჩხუთის, ზუგდიდის, გურჯაანის, სამტრედიისა და ხაშურის ქარხნები— 62 მან. ათასი ცალი.
ბ) მახარაძისა და ჯულფის .... 72 მან ათასი ცალი.
გ) მინდელის ქარხანა საწარმონი და ქარხნები ვანში, წალენჯიხში, ყვარლში, ტყიბულში, თელავში, ლუქსემბურგში, ხობში, აბაშაში, ბოლდოში, ცაგერში, ამბროლაურში, ჩოხატაურში, ჩხარში, მარტვილში, ახალციხეში, ყვარელში, ლაგოდეხში და ბორჯომში. 80 მან. ათასი ც.
დ) ცხინვალის ქარხანა 76 მან. ათასი ც.
ე) სარეწაო კოოპერაციის საწარმონი. 80 მან. ათასი ც.

V. აფხაზეთის ასსრ საწარმონი.

ა) სოხუმის აგურის ქარხანა 72 მან. ათასი ც.
ბ) ქარხნები გაგრაში, გალში, ოჩამჩირეში და გუდაუთში 80 მან. ათასი ც.

2. დამტკიცებულ იქნას სხვა ადგილობრივი საშენი მასალის (კირი, გაჯი, ქვა, ქვიშა, ხრეში, კრამიტი) შემდეგი საგასაცემო ფასები:

ა. კირი.

1) მოწამეთის ქარხნის წარმოებისა . . . 46 მან. ტონა.
2) სურამის ქარხნის წარმოებისა . . . 40 მან. ტონა.
3) ძევრისა და თორის ქარხნების წარმოებისა . . . . . . 45 მან. ტონა.
4) ხარაგოულის 48 მან. ტონა.
5) სამტრედიის . . 45 მან. ტონა.
6) ცხაკაიის . . 45 მან. ტონა.
7) წალენჯიხისა და ქუთაისის 50 მან. ტონა.
8) მზვლების (სამხრეთ-ოსეთის) ქარხნის წარმოებისა 90 მან. ტონა.
9) სარეწაო კოოპერაციის ქარხნების წარმოებისა . . . . 50 მან. ტონა.
10) აფხაზეთის ასსრ. . . . . 50 მან. ტონა.

ბ. გაჯი (ფქვილი საწარმოსი).. 27 მან. ტონა.
გ. ქვა, ქვიშა, ხრეში (ყველა საწარმოსი) 4 მან. და 10 კაპ. ტონა.

დ. კრამიტი.

1) მარსელური, ბოგდანის დღმელების წარმოებისა . . 180 მან. ათასი ცალი
2) მარსელური, მინდელის ქარხნის . 216 მან. ათასი ცალი
3) ჰოლანდიური და ქართული . . 124 მან. ათასი ცალი.

3. ამ დადგენილების 1-ლ და მე-2 მუხლებში აღნიშნული ფასები შემოღებულ იქნას სამოქმედოდ 1936 წ. მარტის 10-დან.

4. ნება დაერთოს ადგილობრივი საბჭოების ქვემდებარე და სარეწაო კოოპერაციის სისტემის საშენი მასალის მწარმოებელ საწარმოებს თავიანთი პროდუქციის 10%-მდე რეალიზებულ ყონ თვითონ ბაზარზე (კოლმეურნეობებისა, საბინაო - სამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობებისა და სხვათა საჭიროების დასაკმაყოფილებლად) შემდეგ საგასაცემო ფასებით:

ა. აგურის ქარხნებისა:

1) ტფილისის საქალაქო საბჭოს ქარხნებისა... 120 მან. ათასი ცალი.
2) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების ქარხნები: ლანჩხუთის, ზუგდიდის, გურჯაანის, სამტრედიის, ხაშურის, მახარაძის, ჯულფის, ფოთის, ბორჯომის, წალენჯიხის, ვანის, წალენჯიხის, ყვარლის, ტყიბულის, თელავის, ლუქსემბურგის, ხობის, აბაშის, ბოლდოის, წნორის, ამბროლაურის, ჩოხატაურის, ჩხარის, მარტვილის, ახალციხის, ყვარლის, ლაგოდეხისა და ბორჯომისა. . . . . 150 მან. ათასი ცალი
3) აფხაზეთის ასსრ ქარხნები . . . 150 მან. ათასი ცალი
4) ცხინვალის ქარხანა . . . . . . 155 მან. ათასი ცალი
5) სარეწაო კოოპერაციის საწარმონი. 155 მან. ათასი ცალი

ბ. კირის ქარხნებისა:

ადგილობრივი ქვემდებარეობის მრეწველობის საწარმონი. 70 მან. ტონა.
მზვლების კირის ქარხანა . . . . . 100 მან. ტონა.
კირის ქარხნები აფხაზეთის ასსრ-ში. 70 მან. ტონა.
სარეწაო კოოპერაციის საწარმონი. 70 მან. ტონა.

5. ამ დადგენილების 1-ლი კარის 1-ლ და მე-2 მუხლში გათვალისწინებული, ადგილობრივი საშენი მასალის საგასაცემო ფასები გავრცელებულ იქნას დამხმარე საწარმოთა პროდუქციის იმ ნაწილზე, რასაც ეს საწარმონი გარეთ გასცემენ.

6. წინადადება მიეცეს სახელმწიფო საგეგმო კომისიას — წარმოადგინოს ერთი დეკადის ვადაში საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს იმ შედგენილი ზედნადები ხარჯების ზღვრული ნორმების პროექტი, რაც დაკავშირებულია ცალკეული სახის საშენი მასალის ტრანსპორტირებასა, დატვირთვასა და გადმოტვირთვასთან, რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის თითოეული მშენებელი საშენებლობისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე
ს. მიბუძე.

1936 წ. მაისის „3"
ტფილისი.

◇ ◇ ◇

საკოლმეურნეო მინდვრებიდან

500 ცენტნერი ჭარხალი ჰექტარზე

კოლმეურნეობა „განთიადის" (ხაშურის რაიონი) პირველმა რიგითმა, რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. ფ. ბერიძე, იკისრა წელს ჰექტარზე 500 ცენტნერი ჭარხლის მიღება. ნათესების უკეთ მოვლისათვის ბრიგადის რგოლებს შორის სოციალისტური შეჯიბრება გაჩაღებულია. შაქრის ჭარხლის გამოხშირვა უკვე დაიწყო.

ვ. ბეშიძე

პირუტყვი ანადგურებს ჩაის პლანტაციას

სოფ. რუხის (ზუგდიდის რაიონი) არასრულ საშუალო სკოლას ორ ჰექტარზე გაშენებული აქვს ჩაის პლანტაცია, რომელიც შეუღობავია. პირუტყვი ანადგურებს ჩაის ბუჩქს. სკოლის დირექტორი ამხ. ჭიჭინაძე თავს არ იწუხებს პლანტაციის შემოღობვით.

შ. ჯალაღანია

შეძლებული კოლმეურნეები

სოფ. პატარა ზანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში დროზე და ხარისხიანად ჩაატარეს ჩაის კაფვა, გადაბარვა და განოყიერება. მზად არიან კრეფისათვის. ყველა მკრეფავს აქვს ორგანიზებული კალათი. ჩაის მკრეფავები მეჯიბრეობენ ერთმანეთში.

ბევრი კოლმეურნე შეძლებულად ცხოვრობს. კოლმეურნე დიმიტრი შარტავას ოჯახმა შარშან 893 შრომადღე გამოიმუშავა. საკოლმეურნეო შემოსავლით 4 ოთახიანი ოდა, შეიძინა ძროხა და ოჯახის ძვირფასი ავეჯეულობა იყიდა. ასევე შეძლებულად ცხოვრობენ კოლმეურნეები ივანე ქიტიაშვილი, ვარლამ ჭითანავა, აკაკი ზუბა, კიტა შარტავა და სხვები.

ბ. გოგინავა

ფოტო ბუდიშტკისა

წიგნის ბაზარი ტფილისში
5 მაისიდან ტფილისში დაიწყო წიგნის ბაზარი. სურათზე: წიგნის ბაზარი ლენინის ქუჩაზე.

○

საავადმყოფო სპეციალურად გავშვებისათვის

ტფილისში, ტრიბუნალის ქუჩაზე, გამოყოფილია ერთ-ერთი საუკეთესო შენობა (ზუბალაშვილის ყოფ. სახლი) საბავშვო საავადმყოფოს მოსაწყობად. ეს საავადმყოფო სანიმუშოდ იქნება მოწყობილი. იქ იმუშავებენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ექიმები.

საავადმყოფოს შენობის შესაკეთებლად, საჭირო ინვენტარის შესაძენად და მოსაწყობად ტფილისის საბჭომ გადასდო 500.000 მანეთი. ტფილისის საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილებას დაევალა დაამუშაოს საავადმყოფოს შენობის მოწყობის პროექტი და შესაძენი ინვენტარისა და მოწყობილობების შეძენის ხარჯთაღრიცხვა.

შენობის კაპიტალურად შეკეთება მინდობილი აქვს „ტფილშენს".

საავადმყოფოს მოწყობა უნდა დამთავრდეს ოქტომბრის დღესასწაულებისათვის.

კაპიტალური დაბანდებანი

ქუთაისის სახალხო მეურნეობაში

ქუთაისი, რომელსაც წინათ არ ჰქონდა არცერთი ცენზიანი საწარმო, ხდება საქართველოს მეორე ინდუსტრიულ ქალაქად. ამჟამად ქუთაისში ათობით აგებულია ახალი ფაბრიკები და ქარხნები 30 ათასი ორგანიზებული პროლეტარიატით.

წლითი-წლობით იზრდება კაპიტალური დაბანდებანი ქუთაისის სახალხო მეურნეობაში. მიმდინარე წელს ეს დაბანდება შეადგენს 46,6 მილიონ მანეთს, რაც 2,7-ჯერ აღემატება 1935 წლის ფაქტიურ დაბანდებას.

სამრეწველო მშენებლობისათვის (ლიტოპონის, აზოტ-ტუკის, შუშის ქარხნის, აბრეშუმის კომბინატის და ქალაქის საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები) მიმდინარე წელს გადადებულია 28 მილიონი მანეთი,—170 პროცენტით მეტი გასული წლის ფაქტიურ დაბანდებასთან შედარებით.

4.412 ათასი მანეთი დაბანდდება 1936 წელს კომუნალურ მეურნეობაში. ეს ციფრი გასული წლისას 124 პროცენტით აჭარბობს. საბინაო მშენებლობისათვის წელს გადადებულია 1.283.300 მანეთი, ნაცვლად გასული წლის 271,7 ათასი მანეთისა.

წელს ქუთაისში აიგება 2 ახალი სასკოლო შენობა 1240 მოწაფისათვის. 267 ათასი მანეთი გადადებულია თეატრის აშენებლად და 178 ათასი მანეთი 120 საწოლიანი საავადმყოფო სახლის დასამთავრებლად.

ორნახევარჯერ აჭარბებს აგრეთვე 1936 წლის დაბანდება მშენებლობაში ჯანმრთელობის დაცვის ხაზით.

დიდი სამუშაოებია გათვალისწინებული საგზაო მშენებლობის დარგშიაც. მარტო სამხრეთ-ოსეთისა და ზეკარის გზატკეცილების მშენებლობისათვის გადადებულია 1.092 ათასი მანეთი (აფს).

◇

მწერალთა კავშირის დრამსექციაში

საქართველოს მწერალთა კავშირის დრამსექციის ხელმძღვანელი ამხ. შალვა დადიანი შემოქმედებითი მივლინებაში წასვლის გამო განთავისუფლებულია თანამდებობისაგან.

დრამსექციის ხელმძღვანელად გამოყოფილია ორდენოსანი პოეტი ალიო მაშაშვილი, მოადგილედ დრამატურგი გერცელ ბააზოვი.

ლანჩხუთი სახეს იცვლის

უკანასკნელ წლებში ლანჩხუთში ფართოდ გაშლილა მშენებლობა. უკვე მოთავებულია სტამბის ახალი შენობა, გადაკეთებულია საავადმყოფო, აგებულია ახალი შენობა აფთიაქისათვის, დაწყებულია ხუთი ახალი დარბაზის აგება, მოთავებულია რაიაღმასკომის შენობა.

პირველ მაისს გაიხსნა კულტურულად და ლამაზად მოწყობილი ჰიგიენის სახლი, რომელშიაც მოთავსებულია ქალთა და ბავშვთა საკონსულტაციო, ამბულატორია და პროფილაქტორიის ოთახები.

უახლოეს ხანს დაიწყება შემნახველი სალაროს ახალი შენობის აგება.

გარდა ამისა, მოკლე ხანში დამთავრდება მუდამ მწვანე მცენარეებით მორთული დიდი ბაღის გაშენება ქალაქის ცენტრში, სადაც მოწყობილი იქნება სხვადასხვა სათამაშო და სავარჯიშო მოედნები. მიმდინარეობს ქუჩების გამწვანება და ქვაფენილების შეკეთება.

ძველ მაღაზიებს უცვლიან არქიტექტურულად გაფორმებული ფასადები და მაღაზიებს შორის დატოვებულ ადგილებში იგება კოლონადა, სადაც მოეწყობა მაღაზიების დიდი კოლონადის წინ გაშენდება სკვერი.

დაკვრითი ტემპით მიმდინარეობს ახალი კინო-თეატრის შენობის აგება, რაც უახლოეს ხანში დამთავრდება.

1922 წლიდან დაწყებული ლამაზი თეატრის მშენებლობა, რომელიც 700 მაყურებელს დაიტევს, საბოლოოდ გადაწყვეტილია თეატრის დამთავრება და ოქტომბრის დღესასწაულზე მისი საზეიმო გახსნა.

სურათზე: ლანჩხუთის თეატრის შენობის ფასადი. ფრეში მშენებლობის ტუჩუნსი—ახალაზადა ინჟინერი არქიტექტორი გ. ბაღდავაძე.

ფოტო ი. ბალაშვილისა.

ქუთაისის ქუჩების გამწვანება. ახლად დარგული პალმები 1905 წლის რევოლუციის ქუჩაზე რიონჰესის სახლთან.

○

ა.-კ. სამედიცინო დეკადა უკრაინაში

მეცნიერთა დელეგაცია მიემგზავრება 12 მაისს

12 მაისს ტფილისიდან უკრაინაში მიემგზავრება ამიერ-კავკასიის სამედიცინო მეცნიერ - მუშაკთა დელეგაცია საქ. ჯანმრთელობის სახალხო კომისრის ამხ. გ. მამალაძის თავმჯდომარეობით.

დელეგაციაში შედიან საქართველოდან — 19 მეცნიერი, აზერბეიჯანიდან — 15 და სომხეთიდან —8.

ამიერ - კავკასიის მეცნიერებს უკრაინაში მიაქვთ 37 დამზადებული მოხსენება მედიცინის სხვადასხვა საკითხზე. ეს მოხსენებები მოსმენილი იქნება — კიევში, ხარკოვში, დნეპროპეტროვსკსა და ოდესაში.

სამედიცინო დეკადა დაიწყება 16 მაისიდან ხარკოვში. აქედან დელეგაციის ჯგუფები გაემგზავრებიან უკრაინის სხვადასხვა ქალაქში და დეკადის დასასრულისათვის თავს მოიყრიან კიევში.

დელეგაცია უკან დაბრუნდება ივნისის პირველ რიცხვებში.

„კომუნისტის" მუშა და სოფლის კორესპონდენტების საყურადღებოდ

ზოგი კორესპონდენტი გამოგზავნილ წერილს აწერს მხოლოდ სახელსა და გვარს და არა სწერს მისამართს, რაც ხელს უშლის რედაქციის აპარატის უშუალო კავშირს თვითეულ კორესპონდენტთან. მისწეროს მას პასუხი გამოგზავნილ წერილზე, დაბეჭდილი წერილების ავტორებს გაუგზავნოს კუთვნილი ჰონორარი ან მისცეს კორესპონდენტებს საჭირო რჩევა-დარიგება და სხვ.

ამიტომ რედაქცია სთხოვს ყველა კორესპონდენტს—მოაწეროს წერილზე გვარი, სახელი და მამის სახელი და აგრეთვე დააწეროს ზუსტი მისამართი (რაიონი, სოფსაბჭო ან დაწესებულება).

რედაქცია

◇

ქრონიკა

—**ახალგაზრდა მწერლების თათბირი.** 10 მაისს მწერალთა სასახლეში, საღამოს 7 საათზე პოეტების სექცია იწვევს ტფილისში მცხოვრები ახალგაზრდა პოეტების თათბირს.

პოეტებთან ახალ კადრებთან მუშაობის შესახებ მოხსენებას გააკეთებს პოეტთა სექციის თავმჯდომარე პოეტი პავლე იაშვილი.

ს პ ო რ ტ ი

„სპარტაკის" მოკრივეები საკავშირო შეჯიბრებაში.

28,29 და 30 აპრილს ქ. მოსკოვში გაიმართა საზ-ბის „სპარტაკის" მოკრივეების საკავშირო შეჯიბრება. პირველობის გათამაშებაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის, კიევის, ტფილისის, როსტოვის, კუიბიშევის, ციმბირის, ვორონეჟის, ბელორუსიისა და სხვა ქალაქების საუკეთესო მოკრივეები. მონაწილეთა შორის იყვნენ საბჭოთა კავშირის განთქმული მოკრივეები: **უბინი** (საკავშირო ჩემპიონი), ჯენდო, მიკარიევ, შკოლნიკოვი, სოლონინენკო, მალცევი, აფონინი, გუდკოვი, ზასლავსკი, ოზმილოვი, კოროლიოვი და სხვანი. შეჯიბრებაში იყო მოსული 72 მონაწილე.

შეჯიბრების დაწყებისთანავე ტფილისის მოკრივეებმა გამოამჟღავნეს კრივის ტექნიკის მაღალი ხარისხი. უმსუბუქეს წონაში ახალგაზრდა **გორგასლიძემ** დაამარცხა საბჭოთა კავშირის უძლიერესი მოკრივე—ზასლავსკი, შემდეგ დაამარცხა **ბელოკოვი** (ლენინგრადი), **ლუკიანი** (ბელორუსია). მან მხოლოდ საფინალო შეხვედრაში განიცადა პირველი დამარცხება აფონინისაგან და მეორე ადგილი დაიჭირა. ნახევრადმსუბუქ წონაში მშვენიერ შედეგებს მიაღწიეს **ავეტისოვმა** და **ცომაიამ**. ცომაიამ საპატიოდ ჩაატარა შეხვედრა საკავშირო ჩემპიონ **უბინის** წინააღმდეგ, რის შემდეგ დაამარცხა **ნიკიტინი** (ბელორუსია), **კომისაროვი** (როსტოვი) **ხარჩილავა** (კუიბიშევი). მან მიაღწია მესამე ადგილის დაჭერა. **ავეტისოვმა** დაამარცხა **კომისაროვი** (როსტოვი), **ვარიშკინი** (ლენინგრადი), **შაგინი** (ხარკოვი) და ხარჩილოვისაგან მიღებულმა დამარცხებამ **ავეტისოვი** მეორე ადგილზე გამოიყვანა.

მსუბუქ წონაში ახალგაზრდა **მელიძემ** ადვილად დაამარცხა როსტოველი **ხიჟინი**. ნახევრადსაშუალო წონაში, ტფილისის წარმომადგენელი **ლარიონი** პირველსავე რაუნდში ამარცხებს ნოვოსიბირსკის მოკრივე **ვაინშტეინს**. მეორე შეხვედრა ლენინგრადელ **ჩულკოვის** წინააღმდეგ — **ლარიონმა** გამარჯვებით დაასრულა. შემდეგ ავადმყოფობის გამო ლარიონი გამოდის შეჯიბრებიდან და იკავებს მეორე ადგილს. მშვენიერი შთაბეჭდილება დასტოვა საშუალო წონის **მაინინმა**, რომელმაც მეორე რაუნდში დაამარცხა **იუზაროვი** (როსტოვი).

ნახევრადმძიმე წონაში **ბერიძემ** აშკარა უპირატესობით დაამთავრა შეჯიბრება **კანარსკისა** (ბელორუსია) და **ელიზაროვთან** (ნოვოსიბირსკი). შემდეგ სუსტად დამარცხდა **კონსტანტინოვთან** (როსტოვი) შეხვედრაში და დაიკავა მეორე ადგილი. სპორტის ოსტატი **ოზმილოვი** გამოვიდა მეორე ადგილზე.

მძიმე წონაში **ნავასარდოვმა**, დაამარცხა ლენინგრადის უძლიერესი მოკრივე — **სტეპანოვი**, რის შემდეგ შეხვდა **კოროლიოვს**. შეჯიბრებამ დიდი ინტერესით ჩაიარა და კოროლიოვის პატარა უპირატესობით დასრულდა. **ნავასარდოვმა** დაიჭირა მეორე ადგილი.

უნდა აღინიშნოს, რომ ტფილისის მოკრივეები პირველად მონაწილეობდნენ ასეთ დიდი მასშტაბის შეჯიბრებაში და მიუხედავად ახალგაზრდა შემადგენლობისა, ბრწყინვალე შედეგებს მიაღწიეს.

შეჯიბრებას სჯიდა კავშირის პირველხარისხოვანი მსაჯი ამხ. **ფურცელაძე**.

◇

ქუთაისელი მწერლების შემოქმედებითი საღამო

7 მაისს, მწერალთა სასახლეში გაიმართა ქუთაისელი მწერლების შემოქმედებითი საღამო, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს მწერლების აქტივი, სახელმწიფო თეატრების მუშაკები, მხატვრები და ფართო ლიტერატურული საზოგადოება.

კრება გახსნა ორდენოსანმა მწერალმა ამხ. შ. დადიანმა.

მწერალმა კოლაი მელიძემ გააკეთა ვრცელი მოხსენება ქუთაისელ მწერალთა შემოქმედების შესახებ.

— საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ქუთაისი გადაიქცა დიდ მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრად,—განაცხადა მომხსენებელმა. კულტურულად იზრდება და ფართოვდება ქალაქი, მატულობს მისი მოსახლეობა, კეთდება კულტურული ცხოვრება. ქუთაისში გაიხსნა უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც დიდ როლს ასრულებს ახალი პედაგოგიური კადრების მომზადების საქმეში. ასევე კულტურულად იზრდება, საქ. მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილება. ქუთაისელი მწერლები წარმოადგენენ სერიოზულ შემოქმედებითს ძალას და უკვე მოიპოვეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი წარმატებები.

შემდეგ მომხსენებელმა შეჩერდა ცალკეული მწერლების შემოქმედების გარჩევაზე.

ამხ. კ. მელიძის მოხსენების შემდეგ ქუთაისელმა მწერლებმა: ლ. ჩხაიძემ, შ. ჩარკვიანმა, ა. ხოშტარიამ, გ. გაისელმა, შ. ასათიანმა, პეტრე კუშელავამ და ს. ასათიანმა წაიკითხეს თავიანთი ნაწერები.

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

ფრანგულ-ბელგიური ჯაზი

ტფილისში ჩამოვიდა ფრანგული ხმოვანი ჯაზი [illegible] კონცერტები [illegible].

ჯაზი თავის მეტად მრავალფეროვანი რეპერტუარით ასრულებს თითქმის ყველა ცნობილ ენაზე. მას მოვლილი აქვს ამერიკა და ევროპის თითქმის ყველა ღირსშესანიშნავი ქალაქი. საბჭოთა კავშირში ის პირველად ჩამოვიდა.

ხმოვანი ჯაზი მუსიკალურად მეტად საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს. ინსტრუმენტებით (როიალს გარდა) ანსამბლი ხმოვანი ჯაზ-ორკესტრის სრულ შთაბეჭდილებას ჰქმნის.

„ჰარმონიული კომედიანტების" ანსამბლი ითვლება ხმოვანი ჯაზის, როგორც ახალი ჟანრის, პირველ შემქმნელად. იგი დაარსდა 1928 წ. პარიზში. თავისი არსებობის განმავლობაში მას 20 ხმოვან კინო-სურათში მიუღია მონაწილეობა და 150-ზე მეტი სიმღერა და მუსიკალური ნომერი ჩაუწერია პატეფონის ფირფიტაზე.

ხმოვან ჯაზ-ანსამბლს [illegible] გაუჩნდა. იგი დიდი პოპულარობით სარგებლობს ევროპის ფართო მუსიკალურ საზოგადოებაში.

„ჰარმონიული კომედიანტების" ხმოვანი ჯაზი გვაძლევს [illegible] სიმღერებს. რეპერტუარის დიდ ნაწილს კლასიკური მუსიკალური ნაწარმოებები და ეროვნული ხალხური ფოლკლორი შეადგენს.

დიდი გემოვნებით და მუსიკალობით შეასრულა ანსამბლმა მოცარტის „ნანა", შტრაუსის „სიზმარი", ბრამსის „მშვიდი საღამო", ბელინის, დვორჟაკის და სხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

კარგად იყო შესრულებული ნეაპოლიტანური „ტარანტელა", ამერიკული ცეკვა „კონტინენტალი", ფრანგული „მეზღვაურთა სიმღერა" და პაროდიები რუსულ და იაპონურ ხალხურ სიმღერებზე.

ანსამბლი ამზადებს ამიერ-კავკასიის ხალხთა სიმღერების თარგმანებს ხმოვანი ჯაზისათვის.

შ. ბ.

○

შემთხვევები

# **გაძარცვა** 7 მაისს, ღამის 2 საათზე ავეჯეულობის ფაბრიკის მუშათა საერთო საცხოვრებელში (კარიტელის ქ. 6) შევიდა ოთხი უცნობი, რომლებიც ფინური დანებით დაემუქრნენ იქ მცხოვრებ მუშებს: ს. გელაშვილს, ვ. ნარიმანოვს, გ. ელენტს, ლ. ნიჟარაძეს და ვ. ბოლოტაშვილს და წაართვეს მათ სხვადასხვა ნივთები, ტანსაცმელი და 500 მანეთი ფული, რის შემდეგ მიიმალნენ. მძარცველთა წასვლის შემდეგ დაზარალებული მუშები გამოვიდნენ ქუჩაში და ასტეხეს ყვირილი. ყვირილის გაგონებისთანავე მათთან მივიდა ქალაქის მილიციის უფროსი მილიციელი ამხ. გ. გ. დვალიშვილი, რომელმაც საგუშაგოზე მდგომი მილიციელების დახმარებით დააპატიმრა ყველა მძარცველი. ისინი აღმოჩნდნენ: ვ. ა. თავაძე (შაუმიანის ქ. 44), ა. შ. ნადაშვილი (დოლომბარის ქ. 3), შ. ი. თოდრიაშვილი და ტ. გ. ზურაბიძე (ლენინის ქ. 26). მძარცველებს აღმოაჩნდათ მუშებისთვის წართმეული ყველა ნივთი და ფული.

# **საწერი მანქანის ქურდობა.** შეიპყრეს [illegible] განყოფილების კანცელარიიდან (სარაჯიშვილის ქ. 3) 7 მაისს მოიპარეს საწერი მანქანა. ქურდი მ. გ. შადურაშვილი შეიპყრეს. მანქანა დაუბრუნდა მუშათა მომარაგების განყოფილებას.

# **უბედური შემთხვევა.** სარეწაო კოოპერაციის ქუჩაზე მიმავალი ტრამვაიდან გადმოხტა 9 წლის ბ. ღარიბაშვილი, რომელიც მოჰყვა მისაბმელ ვაგონქვეშ. ბავშვს ბორბლებმა გადასჭრა ორივე ფეხი.

○

პარტკალენდარი

— **საქ. კპ. (ბ) ცკ. ორგანიზაციის [illegible] რაიკომის პარტკაბინეტი** იუწყება, რომ 11 მაისს, საღამოს 7 საათზე, პარტკაბინეტში გაიმართება პროპაგანდისტ ამხ. ლეონიძის [illegible] (საქ. კპ. (ბ) ისტორიის ძირითადი ეტაპების შემსწავლელი წრე, რუსულ ენაზე). ამავე ტიპის წრეების პროპაგანდისტთა დასწრება სავალდებულოა.

— **საქ. პარტკონტროლის კომისიის** წინადადებას აძლევს ამხ. გრ. ქ. პაპიძეს ([illegible]), ა. გელაშვილს ([illegible]), ბოლოტაშვილს (შაქრის ფაბრიკა), ს. შ. სხიპაიოს ([illegible] კომბ. მე-4 კომბინატი), რუხაძეს, ა. შ. [illegible] („წითელი მეტალისტი"), ო. ს. სოლომონოვს (ფეხსაცმლის ფაბრიკა № 1), გ. შ. [illegible] (ტყავის ქარხანა) და სხვ. ელ. მოიწვიონ 10 მაისს გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში (ც. კ-ის შენობა, 1 სართ. ოთახი 21) ამხ. ჩიბლაძესთან.

რუსთაველის სახ. თეატრი		
	10 მაისს 5 აბ. 7 წარ.	სასტუმროს დიასახლისი
	11 მაისს 3 აბ. 7 წარ.	სასტუმროს დიასახლისი

ბილეთები სალაროში 11—2, 6—9 ს. დასაწყისი 8 საათზე.

თეატრი		
	10 მაისს წარმოდგ. № 156	რაც მინახავს, ვერღარ ნახავ
	11 მაისს წარმოდგ. 157	შ ა მ ი ლ ი

ბილეთები თეატრის სალაროში 11—2, 6—9 ს.
ბავშვები და მოზარდები 17 წლამდე არ დაიშვებიან. დასაწყისი 8 საათზე.

სახკინმრეწვის თეატრები	
ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30	დაწყების მე-2 კვირა „პარტიული ბილეთი" ხმოვანი ჟურნალი № 17.
დამკვრელი ხაზ.-ბაზ. 6-30, 8-30, 10-30	ახალი ხმოვანი ფილმი „უკანასკნელი ბანაკი" არისინია № 5
კომკავშირელი 6-30, 8-30, 10-30	უკანასკნელი დღეები ხმოვანი სურათი „შვიდი მამაცი" კომკავშირის X ყრილობისათვის
რ. ლუქსემბურგის სახ. 6-30, 8, 9-3., 11	ხმოვ. ფილმი „ჯ უ ლ ბ ა რ ს ი" ხმოვანი ჟურნალი № 16.
საზაფხ. „ეთერი" დასაწყ. 8 ს. 15 წ.	ხმოვანი ფილმი „დ უ ბ რ ო ვ ს კ ი" „მამაცის ლაშქრობა"
26 კომუნარის სახ 6-30, 8, 9-30, 11	ხმოვ. ფილმი „შ ვ ი დ ი მ ა მ ა ც ი" ხმოვ ჟურნალი № 15.
საზაფხ. კონცერტინი 8-15, 10-15	ხმოვ. სურათი „უჩინარი ადამიანი" საბჭოთა ხელოვნება № 6.
ახალი ამბავი	ხმოვ. ჟურნ. № 14, პიონერია № 2, კ, კომკავშირის X ყრილობის მე-5 გამოშვება.

ტფილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა აცნობებს ფაბრიკის ყოფილ მუშა-მოსამსახურეთ,
რომ ვინც რაიმე მიზეზით თავის დროზე ვერ მიიღო მეორე ხუთწლედის მესამე გამოშვების სესხის ან სხვა გამოშვების სესხთა ობლიგაციები, რომლებიც უკვე ჩაბარდა შესანახად შემნახველ სალაროს № 3526, სავიროა გამოცხადნენ ფაბრიკაში, სადაც მიეცემათ სათანადო ცნობა ობლიგაციების მისაღებად.
130
დ ი რ ე ქ ც ი ა.

საქ. სახელმწიფო გამომცემლობა
ამით აცხადებს მეორე ხუთწლედის (მესამე წლის გამოშვების) სესხის ობლიგაციებზე ხელისმომწერ მუშა-მოსამსახურეთა საყურადღებოდ, რომ საბელგამიდან ობლიგაციების მიღების უკანასკნელ ვადად დანიშნულია მიმდინარე 1936 წ. 15 მაისი, რის შემდეგ დაურიგებელი ობლიგაციები ჩაბარდება კიროვის რაიონის შემნახველ სალაროს.
14313
საქ. სახ. გამომცემლობა.

საქ. ადგილობრივი მრეწველობის
ტფილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა
№ 1. ლენინის ქ. № 75
რეგისტრაციაში გატარებული საქართველოს ფინსახკომში № 96—1, 28/I—34 წ.
საქმიანობის სახე: აბრეშუმის და ნახევარაბრეშუმის ქსოვილების გამოშვება.
საანგარიშსწორებო ანგარიში სახბანკის საქ. კანტორაში № 98097.
დირექტორი ა. ვ. თოთიბაძე.
მთ. ბუღალტერი ტ. მ. ნიხარაძე.
44

სსრ კავშირის შინავაჭრობის სახ. კომისარიატის
ტფილისის სახელმწიფო
სანიმუშო უნივერმაღი
სამრეწველო საქონლის საცალო ვაჭრობა
რეგისტრირებულია ტფილ. ქალაქ. ფინგანში 1936 წ. 10 იანვარს № 1-ით.
საანგარიშსწორებო ანგარიში სახბანკის საქ. კანტორაში № 60056.
მისამართი: ტფილისი, ჟორესის ქუჩა № 7.
42
დირექტორი გრონსკი.

„გლავხლადპრომის"
მაცივარი ტფილისში
რეგისტრირებულია ტფილ. ლენინის სახელობის რაიფინგანში 1935 წლის 19 დეკემბერს № 15-ით.
საქმიანობის საგანი: სამაცივრო მრეწველობის პროდუქციის წარმოება.
საანგარიშსწორებო ანგარიში სახბანკის საქ. განყოფილებაში № 55022.
მისამართი: ტფილისი, თრუხნიძის ქუჩა, № 113.
43
დირექტორი ა. მ. ერიციანი.
მთავრ. ბუღალტერი ი. ვ. ბაქანოვი.

ა. ლ. კ. კ. სახელობის ტფილისის რკინიგზის
საფაბრიკო-საქარხნო სკოლა
გატარებულია რეგისტრაციაში ლენინის სახელობის რაიფინგანში 1936 წლის 16 აპრილს, № 46.
საანგარიშსწორებო ანგარიში „ტრანსბანკში" № 11513.
საქმიანობის ხასიათი: მასობრივი პროფესიის კადრების მომზადება რკინიგზის ტრანსპორტისათვის და ამ მომზადებასთან დაკავშირებით სხვადასხვა საზეინკლო და სადურგლო ნაწარმოების გამოშვება.
მისამართი: საბჭოს ქ. № 204.
285
სკოლის უფროსი—ი. წამალაშვილი.
უფროსი ბუღალტერი—შრ. რევია.

კუიბიშევის სახელობის ხისდასამუშავებელი
მექანიკური ქარხანა
კლარა ცეტკინის ქუჩა, № 121,
იუწყება, რომ მუშა-მოსამსახურეებმა, რომელთაც რაიმე მიზეზით არ მიუღიათ მეორე ხუთწლედის მესამე წლის გამოშვების სესხის ობლიგაციები, უნდა მიიღონ ისინი ხუთი დღის ვადაში ამ განცხადების გამოქვეყნებიდან.
ამ ვადის შემდეგ ობლიგაციები გადაეცემა სტალინის სახ. რაიონის შემნახველ სალარო № 3593-ს.
129
დ ი რ ე ქ ც ი ა.

გულდამწყვარი დედა ბაბულია ფელიცია, დეიდები: მარგო, მარო ქმრით, ვალოდია ბენიძე დაესტირით ნორჩი პატარა
თამაზიკო ქანთარიას
უდროოდ დაკარგვას.
14338

დამწუხრებული ძმა დათიკო, მეუღლე ნადია, რძალი ელენე იუწყებიან, რომ 12 მაისს 6 ს. ტფილისში, კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი
გიორგი ილიას-ძე ფოფხაძის
ხსოვნის აღსანიშნავად.
14331

მეუღლე მიხეილ ლუკას-ძე ხარატი, შვილები: თინა, კოწია, შოთა მწუხარებით იუწყებენ ნათესავთ-ნაცნობებს უძვირფასესი
მაკრინე გერმანეს-ასული ხარატის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 10 მაისს შუქტაფორში.
14333

მეუღლე პელაგია, შვილი პეპელა, რძალი ელენე ჯაშები, ქალიშვილი ნინო, სიძე სამსონ, შვილიშვილი აბელ ფირსოვები იუწყებიან საყვარელი
გერასიმე ივანეს-ძე ჯაშის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში, ყაზბეგის, 6, თორმეტს.
14335

დამწუხრებული დები: ვერიჩკა, ლიუდმილა (კიტია), ნუცა, ძმა სერგო, სიძეები: ლევან, ვანიჩკა ახვლედიანები შვილები იუწყებიან
გრიგოლ (გრიშა) თავზარაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს 5 საათ. ს. გუნიას, 25. (ავლაბარი).
14315

გაუბედურებული ცოლი სარა, დები: შურა, პაშა, ვერა, ძმა მიტუშა დოლიძეები, სიძეები: გრიშა ფრუიძე, ვარლამ თავაძე იუწყებიან, რომ 12 მაისს ნატანებში დანიშნულია
პეტრე მელიტონის-ძე დოლიძის
პანაშვიდი.
14307

მშობლები: ეპიფანე, ევრაქსია, ცოლი ზინა, შვილები: მიტო, ჟორა, ძმები გალაქტიონ, სარდიონ, ვალოდია ცოლშვილით მწუხარებით იუწყებიან საყვარელი
ნესტორ ეპიფანეს-ძე ჟიბლაძის
მოულოდნელად გარდაცვალებას. დაკრძალვა 12 მაისს ჩოხატაურში.
14322

დამწუხრებული მშობლები: დიმიტრი, ნინო შვილებით, რძლებით, შვილიშვილებით, სიძეები: გოგი, ვანო ცოლშვილით იუწყებიან, რომ 12 მაისს ხონში 3 ს. მარქსის 59, დანიშნულია
ალექსანდრე დიმიტრის-ძე სილაგავას
პანაშვიდი.
14310

ბიძა გიორგი ცოლშვილით, ბიცოლა ნატალია, ბიძაშვილები: კატო, ანიკა, ილიკო, ვალიკო, აკაკი, სარდიონ ცოლშვილით კაკაბაძეები გულმოკლულნი იუწყებიან მათთვის უსაყვარლესი
ვერა კაკაბაძის
უდროოდ გარდაცვალებას.
14320

დამწუხრებული მეუღლე ანა, შვილები: სიმა, გრიშა და ნადეჟდა, შვილიშვილი ნანული იუწყებიან მათი საყვარელი
ლევან ივანეს-ძე მარგალიტაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ფოთში 12 მაისს 5 საათზე მახარაძის 5.
14343

მშობლები: მაკო, ილიკო, ძმები: კოლია ვალიკო ჰანიშვილები რძალი ხატულა, დები: ნინო, ლიუდმილა, სიძეები შვილებით იუწყებიან, რომ 12 მაისს, 1 საათზე ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სახუნტის მეოთხე კურსის სტუდენტის
ვენია ჰანიშვილის
პანაშვიდი.
14342

დამწუხრებული მამა ვასილ, მეუღლე მარუსია, შვილები: დოდო, თეიმურაზ, ვასილ, დები: თამარ, როდამ, სოფიო ქმარშვილით იუწყებიან, რომ 12 მაისს 4 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
გიორგი ალექსიშვილის
პანაშვიდი.
14334

ჯორბაძე, ჩხეიძე, ჩაჩანიძე, ხომასურიძე, ქარიძე, ზურდიანიშვილი, თოხაძე, ოზიაძე, მაისურაძე, კომლაძე, ტყეშელაშვილი, გაბრიჩიძე, მეტრეველი, რაზმაძე, კოკაია, მელქაძე, აბრამიშვილი, კალანდაძე, ლებანიძე იუწყებიან ამხანაგი მაისურაძის მეუღლის
პ ო ლ ი ნ ა ს
გარდაცვალებას.
14328

ღრმად დამწუხრებული და ნინო, ხოშე დათიკო შვილებით მერი, პავლუშა, მაზლები: ვასო და სერგო ელენტები ცოლშვილით იუწყებიან
კოლია ივანეს-ძე ფირცხალაიშვილის
უდროოდ გარდაცვალებას.
14326

დამწუხრებული ძმა ზაქარია როინაძე, და მაშო, რძალი მარიამ, ძმისშვილები: პეპელა, აფრასიონ სიხარულიძეები, გოგონა, მელენტი ელენტები, თამუნა, ფაცუნია, ნონა როინაძეები იუწყებიან
ველიტო ცხადაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში.
14327

თავზარდაცემული ქმარი ტიტიკო ლოლობერიძე, დედა ანეტა, გაზრდილი ლიუდმილა იუწყებიან დაუვიწყარი
ლიუბა იაკინთეს-ასულ ლოლობერიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი კვირას 7 საათზე, დაკრძალვა ორშაბათს 2 საათზე კამოს, 69
14321

თავზარდაცემული მეუღლე ელისაბედ, შვილები: კაკო ცოლშვილით, ლიუბა და ეთერით, და ხუტა, ძმები: ილარიონ, ირაკლი ცოლშვილით იუწყებიან დაუვიწყარი
მიხა ალექსის-ძე ფულარიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 12 მაისს ხობში.
14325

ნიკოლოზ და ლიდუშა დევდარიანები, ივანე ყიფშიძე იუწყებენ საზოგადოებას გულითადი მეგობრის
სიმა ალექსანდრეს-ძე ხევსურიანის
უეცრად გარდაცვალებას.
14341

დამწუხრებული მეუღლე მარიამი, შვილები: ოლღა, მარო ქმარ-შვილით, რაისა იუწყებიან დაუვიწყარი მეუღლისა და ძვირფასი მამის
პეტრე ფირანის-ძე ცანავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. ქულაში.

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქუჩა 68
ტირაჟი—120.000
მთავლიტის რწმუნებული 8403